

იმერეთის მხარე

(ქ. ქუთაისი, ზესტაფონის, წყალტუბოს, სამტრედიის, ჭიათურის საჩხერის, თერჯოლის, ვანის, ხონის, ტყიბულის, ბაღდათის, ხარაგაულის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები)

პასპორტი

2007 წელი

შინაარსი:

		გვერდი
1	მხარის ზოგადი დახასიათება	3
2	ხელისუფლება	3
3	მოსახლეობა და დასაქმება	5
4	განათლება და კულტურა	10
5	კულტურის ძეგლები	12
6	მხარის ეკონომიკა	15
	6.1 მხარის ბიუჯეტი	16
	6.2 მრეწველობა	21
	6.3 სოფლის მეურნეობა	24
	6.4 სატრანსპორტო სისტემა	30
	6.5 ენერგეტიკა	31
	6.6 ექსპორტი	33
	6.7 ვაჭრობა	34
	6.8 სასტუმროების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები	35
	6.9 კომერციული ბანკები	36
	6.10 ჯანმრთელობის დაცვა	37
7	მინერალური და რეკრეაციული რესურსები	40
8	მხარის საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა	77
9	საინფორმაციო მომსახურების სისტემა	80
10	მხარის საინვესტიციო პოტენციალი	80

1. მხარის ზოგადი დახასიათება

ტერიტორიის ფართობი – 6518,8 კმ²;

ადმინისტრაციული ცენტრი – ქუთაისი;

მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 236 კმ;

კლიმატი – იმერეთი ძირითადად მდებარეობს ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ოლქში. აღსანიშნავია, რომ მხარის დაბალმთიან და საშუალომთიან რაიონებში ზღვის გავლენა შესუსტებულია, მაგრამ დამახასიათებელია ნოტიო კლიმატი. აქ ზამთარი ცივია და ზაფხული შედარებით მშრალი და ცხელი. იანვრის თვის ტემპერატურა +2, +5, ზაფხულში მაქსიმალური ტემპერატურა +38, +40°C. ნალექების რაოდენობა 100-200 მმ-ია. ნალექიან დღეთა რიცხვი საშუალოდ წელიწადში 150-ს შეადგენს;

წყლის ძირითადი არტერიები: მდ. რიონი და ყვირილა.

2. ხელისუფლება

იმერეთის რეგიონში აღმასრულებელ ხელისუფლებას განახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული. მისი ფუნქციებია: უზრუნველყოს რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის

კოორდინაცია, რესურსების მობილიზება, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ორგანიზება, ინვესტიციების მოზიდვისა და რეფორმების განხორციელების ხელშეწყობა, ადამიანის უფლებების დაცვა და სხვ.

მხარეში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა, მერია) ორგანოების მიერ შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით:

ქ. ქუთაისი;

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი;

სამტრედიის მუნიციპალიტეტი;

ჭიათურის მუნიციპალიტეტი;

საჩხერის მუნიციპალიტეტი;

თერჯოლის მუნიციპალიტეტი;

ვანის მუნიციპალიტეტი;

ხონის მუნიციპალიტეტი;

ტყიბულის მუნიციპალიტეტი;

ბაღდათის მუნიციპალიტეტი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი.

3. მოსახლეობა და დასაქმება

მოსახლეობის რიცხოვნობა 1/01-2006 წ. – 700,1 ათ. კაცი:

მათ შორის: ქალაქის – 327,1 ათ. კაცი; სოფლის – 373 ათ. კაცი;

მოსახლეობის სიმჭიდროვე 1/01-2006 წ. – 107 კაცი/კმ².

მოსახლეობის მთლიანი რაოდენობიდან:

სულ დასაქმებულია – 362,4 ათ. კაცი;

მ.შ. დასაქმებულია ეკონომიკაში – 123,2 ათ. კაცი*;

უმუშევართა რიცხოვნობა – 41,8 ათ. კაცი.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა:

ქართველი – 689924;

აფხაზი – 388;

* ექსპერტული გათვლებით

ოსი – 639;

სომეხი – 1890;

რუსი – 4924;

აზერბაიჯანელი – 274;

ბერძენი – 242;

უკრაინელი – 636

იეზიდი – 56.

მოსახლეობის რიცხოვნობა მსხვილ დასახლებებში:

ქ. ქუთაისი – 190.1 ათ. კაცი;

ქ. სამტრედია – 29.9 ათ. კაცი;

ქ. ზესტაფონი – 24.3 ათ. კაცი;

ქ. წყალტუბო – 17.0 ათ. კაცი;

ქ. ტყიბული – 14.1 ათ. კაცი;

ქ. ჭიათურა – 13.5 ათ. კაცი;

ქ. ხონი – 11.1 ათ. კაცი;

ქ. საჩხერე – 6.5 ათ. კაცი;

- ქ. თერჯოლა – 5.7 ათ. კაცი;
- ქ. ბაღდათი – 4.7 ათ. კაცი;
- ქ. ვანი – 4.5 ათ. კაცი;
- დაბა ხარაგაული – 2.4 ათ. კაცი;
- დაბა კულაში – 1.8 ათ. კაცი;
- დაბა შორაპანი – 1.5 ათ. კაცი.

იმერეთის მხარეში მოსახლეობის რიცხოვნობა

ათ. კაცი

N	დასახელება	სულ	მათ შორის	
			ქალაქი	სოფელი
	ქალაქი, მუნიციპალიტეტი	700.1	327.1	373
1	ქ. ქუთაისი	190.1	190.1	0
2	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	75.6	25.8	49.8
3	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	73.9	17	56.9
4	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	60.4	31.7	28.7
5	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	55.6	13.5	42.1
6	საჩხერის მუნიციპალიტეტი	46.4	6.5	39.9

7	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	45.3	5.7	39.6
8	ვანის მუნიციპალიტეტი	34.2	4.5	29.7
9	ხონის მუნიციპალიტეტი	31.4	11.1	20.3
10	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	30.6	14.1	16.5
11	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	29	4.7	24.3
12	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	27.6	2.4	25.2

დასაქმების მაჩვენებლები

იმერეთის მხარეში შრომითი რესურსი 404,3 ათას კაცს შეადგენს, რაც მოსახლეობის 57,7%-ია. აქედან დაუსაქმებელთა რაოდენობაა დაახლოებით 41,8 ათასი, ანუ სამუშაო ძალის 10,3%. ეკონომიკის დარგში დასაქმებულია 123,2 კაცი, ანუ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 34%.

დასაქმებულთა რიცხოვნობაში დიდი ხვედრითი წილი უჭირავთ თვითდასაქმებულებს (73%), ეს არის ძირითადად სოფლის მოსახლეობა, ვისაც აქვს 1 ჰექტარი ან მეტი ფართობის მიწის ნაკვეთი.

**დემოგრაფიული დინამიკა და მიგრაცია იმერეთის მუნიციპალიტეტებისა
და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისის მიხედვით**

N	თვითმმართველი ერთეული	დაბადება			გარდაცვალება			ქორწინება			განქორწინება			ემიგრანტთა რაოდენობა
		2006	2005	%	2006	2005	%	2006	2005	%	2006	2005	%	
1	ქუთაისი	2902	2993	97.0	2060	1935	106.5	1404	1330	105.6	161	152	105.9	8189
2	ტყიბული	139	170	81.8	267	346	77.2	87	95	91.6	12	6	200.0	689
3	წყალტუბო	322	208	154.8	442	565	78.2	163	103	158.3	14	17	82.4	1865
4	ჭიათურა	442	443	99.8	647	576	112.3	249	277	89.9	9	15	60.0	654
5	ბაღდათი	149	137	108.8	254	251	101.2	134	134	100.0	6	14	42.9	871
6	ვანი	129	143	90.2	292	301	97.0	119	89	133.7	13	7	185.7	492
7	ზესტაფონი	671	683	98.2	675	659	102.4	240	246	97.6	20	15	133.3	875
8	თერჯოლა	217	224	96.9	409	404	101.2	122	105	116.2	5	14	35.7	857
9	სამტრედია	432	417	103.6	451	398	113.3	305	252	121.0	21	44	47.7	1066
10	საჩხერე	648	468	138.5	419	440	95.2	416	263	158.2	7	8	87.5	323
11	ხარაგაული	135	159	84.9	278	253	109.9	52	81	64.2	9	1	9-ჯერ	248
12	ხონი	155	125	124.0	310	293	105.8	117	90	130.0	6	8	75.0	524
	სულ	6341	6170	102.8	6504	6421	101.3	3408	3065	111.2	283	301	94.0	16653

საშუალო ხელფასი

საშუალო ხელფასი სახელმწიფო სექტორში (აშშ დოლარზე გაანგარიშებით) შეადგენს 120 აშშ დოლარს, კერძო სექტორში – 145 აშშ დოლარს.**

საშუალო წლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ექსპერტული გათვლების თანახმად, დაახლოებით 1440 დოლარს შეადგენს.

4. განათლება და კულტურა

მხარეში ფუნქციონირებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

შპს - ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი;

შპს - სამედიცინო ინსტიტუტი „ქუთაისი“;

სსიპ - საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

სსიპ - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილიალი ქუთაისში;

** ექსპერტული გათვლებით

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, ფილიალი ქუთაისში;
 შპს - სოხუმის აკაკი ჩხარტიშვილის სახ. ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი (ზესტაფონი)
 და სხვ.

ეკონომიკაში დასაქმებულთა შორის უმაღლესი განათლება აქვს 36,9 ათ. კაცს, პროფესიული – 67,7 ათ. კაცს, ხოლო სრული ზოგადი განათლება – 18,6 ათ. კაცს.***

იმერეთის მხარეში სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა რაოდენობა და პროფილი

N	მერია, მუნიციპალიტეტი	სკოლამდელი	დაწყებითი	საბაზო 9-წლიანი	სრული ზოგადი
1	ქუთაისი	46	–	–	46
2	ჭიათურა	23	–	11	51
3	თერჯოლა	22	–	1	24
4	ხონი	17	–	9	25
5	ტყიბული	14	–	7	25
6	ვანი	19	–	11	34
7	ბაღდათი	15	–	6	24
8	ზესტაფონი	41	–	1	33

*** ექსპერტული გათვლებით

9	წყალტუბო	4	–	14	45
10	სამტრედია	23	–	10	39
11	ხარაგაული	10	–	4	27
12	საჩხერე	11	–	11	32
	სულ	245	–	85	405

5. კულტურის ძეგლები

არქიტექტურული ძეგლები

იმერეთი მდიდარია არქიტექტურული ძეგლებით, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნაგებობებით. ყველა მუნიციპალიტეტში და რეგიონულ ცენტრ ქუთაისში ფართოდაა წარმოდგენილი ძეგლები, რომლებიც ფაქტობრივად საქართველოს ისტორიულ წარსულს შეესაბამება და ამავდროულად თვითმყოფადობითაც გამოირჩევიან. მათ შორის აღსანიშნავია ტაძრები, ეკლესია-მონასტრები (ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, მოწამეთა, გელათის სამონასტრო კომპლექსი), ციხეები (თამარის ციხის ნანგრევები), ხიდები. იმერეთში 250-ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომლებიც გვიანი ანტიკური ხანიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ნათელ

წარმოდგენას უქმნიან სტუმარს ქართული თვითმყოფადი უმდიდრესი კულტურისა და ისტორიის შესახებ. მათ შორის აღსანიშნავია ქუთაისის მახლობლად, სათაფლიის ნაკრძალში აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალევი.

საქართველოს სულიერ ცხოვრებაში იმერეთი ყოველთვის გამორჩეულ როლს ასრულებდა. X საუკუნეში ქუთაისში მეფედ აკურთხეს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III, ხოლო XI ს-ის ბოლოს აქ მეფედ ეკურთხა საქართველოს უძლიერესი მეფე დავით აღმაშენებელი. 1122 წლამდე საქართველოს სამეფოს რეზიდენცია ქუთაისში იმყოფებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გელათის მონასტერი (XII ს.) ერთდროულად რელიგიურ და საგანმანათლებლო ცენტრად იქცა სრულიად საქართველოსათვის. 400 წლის განმავლობაში გელათის აკადემია ერთ-ერთი უძლიერესი სამეცნიერო ცენტრი იყო მსოფლიოში.

იმერეთის ორი ძეგლი – გელათის მონასტერი და ბაგრატის ტაძარი მსოფლიო კულტურის საგანძურშია შეტანილი.

კულტურული ღირსშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია:

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი;

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი;

ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრი;

ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო თეატრი;

სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის თეატრი;

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის თეატრი;

ხონის, საჩხერის, ვანის, ტყიბულის, წყალტუბოს, თერჯოლისა და ბაღდათის თეატრები;

ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი;

აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი;

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი;

გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმი;

რევაზ ლალიძის სახლ-მუზეუმი;

უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი;

დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი;

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი;

სპორტული მუზეუმი;

და სხვ.

6. მხარის ეკონომიკა

მთლიანი რეგიონული პროდუქტის სტრუქტურა შესაბამისი ხვედრითი წილების შეფასებით შეადგენს:

დარგი	წილი (%)
სოფლის მეურნეობა	33
მრეწველობა	28
მშენებლობა	12
ვაჭრობა	13
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	9
სხვა მომსახურება	5
სულ	100%

მხარეში მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე მოსახლე შეადგენს 3400 ლარს.

6.1. მხარის ბიუჯეტი 2004 – 2007 წლებში

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისისა და იმერეთის მხარის მუნიციპლიტეტების ბიუჯეტების ფაქტობრივი შემოსავლები 2004-2005-2006-2007 წლებში

(ათასი ლარი)

N	თვითმმართველი ქალაქი, მუნიციპალიტეტი	2004 წელი			2005 წელი			2006 წელი			2007 წლის საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა
		საბიუჯეტო შემოსავალი სულ	მათ შორის		საბიუჯეტო შემოსავალი სულ	მათ შორის		საბიუჯეტო შემოსავალი სულ	მათ შორის		
			საგადასახადო შემოსავალი	არასაგადასახადო შემოსავალი		საგადასახადო შემოსავალი	არასაგადასახადო შემოსავალი		საგადასახადო შემოსავალი	არასაგადასახადო შემოსავალი	
1	ქუთაისი	12334.2	9398.7	2935.5	14840.7	11310.6	3530.1	15376.2	11999.5	3376.7	17183.8
2	ბაღდათი	636.1	372.0	264.1	621.0	363.2	257.8	696.9	449.9	247.0	700.0
3	ვანი	654.8	489.8	165.0	529.3	396.3	133.0	723.7	488.9	234.8	591.0
4	ზესტაფონი	9101.0	8582.2	518.8	5824.1	5494.1	330.0	5016.6	4088.4	928.2	5380.0
5	თერჯოლა	1317.2	1209.2	108.0	1700.0	1560.8	139.2	1648.0	1356.8	291.2	1594.1
6	სამტრედია	7729.0	7141.6	587.4	2689.6	2485.4	204.2	3417.8	3121.5	296.3	3454.0
7	საჩხერე	2211.7	1703.0	508.7	1851.5	1425.2	426.3	1966.9	1577.2	389.7	2168.2
8	ტყიბული	908.8	674.0	234.8	819.5	607.9	211.6	1952.4	1765.7	186.7	1117.6
9	წყალტუბო	1623.1	1394.2	228.9	1602.7	1376.9	225.8	2191.9	1649.8	542.1	1875.0

10	ჭიათურა	2600.9	2407.8	193.1	2887.0	2672.7	214.3	3227.0	3037.4	189.6	4006.1
11	ხარაგაული	589.4	343.0	246.4	680.9	396.3	284.6	892.9	623.8	269.1	795.0
12	ხონი	467.9	323.6	144.3	496.1	343.0	153.1	957.0	833.2	123.8	991.0
სულ მხარე		40174.1	34039.1	6135.0	24542.4	28432.4	6110.0	38067.3	30992.1	7075.2	39855.8

**თვითმმართველი ქ.ქუთაისისა და იმერეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მიერ გაწეული ხარჯები
2002-2006 წლებში**

N	თვითმმართველი ქალაქი, მუნიციპალიტეტები	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება					თავდაცვა					საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება				
		2002 წლის ფაქტი	2003 წლის ფაქტი	2004 წლის ფაქტი	2005 წლის ფაქტი	2006 წლის ფაქტი	2002 წლის ფაქტი	2003 წლის ფაქტი	2004 წლის ფაქტი	2005 წლის ფაქტი	2006 წლის ფაქტი	2002 წლის ფაქტი	2003 წლის ფაქტი	2004 წლის ფაქტი	2005 წლის ფაქტი	2006 წლის ფაქტი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
1	ქუთაისი	1015.8	1215.3	1505.2	2026.9	2468.1	31.7	49.4	63.4	94.0	157.3	358.0	247.9	225.0	269.9	446.8
2	ბაღდათი	180.2	167.2	264.9	274.4	505.6	4.8	4.4	7.7	10.5	20.6	57.3	44.0	73.9	39.6	64.5
3	ვანი	186.6	149.7	281.9	438.4	711.0	8.8	5.1	10.8	15.5	26.8	49.3	26.2	65.3	64.4	57.6
4	ზესტაფონი	341.7	447.0	1007.3	1586.8	1132.0	22.4	14.9	48.6	75.8	53.5	102.5	119.3	124.9	79.4	141.9
5	თერჯოლა	373.5	399.4	418.9	541.2	830.1	5.6	27.2	28.4	35.4	35.6	70.0	62.4	55.5	29.3	78.2
6	სამტრედია	418.9	521.3	991.0	867.3	1272.9	12.0	1.6	33.2	34.7	34.8	150.9	127.9	288.1	76.8	97.4

7	საჩხერე	152.0	153.7	242.7	318.2	584.8	14.3	15.9	48.6	42.7	53.3	49.5	72.5	50.0	39.0	249.9
8	ტყიბული	172.2	239.2	352.1	624.8	518.9	6.0	5.8	11.5	16.8	21.3	62.9	65.5	92.3	147.6	152.9
9	წყალტუბო	290.0	260.0	154.0	353.8	600.0	7.7	8.0	11.5	14.2	23.7	109.0	106.0	108.0	63.0	177.3
10	ჭიათურა	280.4	276.0	423.7	661.1	1304.2	5.2	4.0	17.6	19.1	25.5	84.3	72.8	135.5	93.3	74.9
11	ხარაგაული	125.5	118.3	226.9	321.1	453.9	6.5	7.3	8.8	6.8	13.7	24.3	29.0	29.4	28.4	42.2
12	ხონი	136.6	112.4	232.8	308.1	507.1	9.4	5.8	10.5	12.5	25.6	23.3	22.1	36.9	24.4	67.3
სულ მხარე		3673.4	4059.5	6101.4	8322.1	10888.6	134.4	149.4	300.6	378.0	491.7	1141.3	995.6	1284.8	955.1	1650.9

N	თვითმმართველი ქალაქი, მუნიციპალიტეტები	განათლება					ჯანდაცვა					სოციალურ სფერო და სოციალური უზრუნველყოფა				
		2002 წლის ფაქტი	2003 წლის ფაქტი	2004 წლის ფაქტი	2005 წლის ფაქტი	2006 წლის ფაქტი	2002 წლის ფაქტი	2003 წლის ფაქტი	2004 წლის ფაქტი	2005 წლის ფაქტი	2006 წლის ფაქტი	2002 წლის ფაქტი	2003 წლის ფაქტი	2004 წლის ფაქტი	2005 წლის ფაქტი	2006 წლის ფაქტი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
1	ქუთაისი	5592.5	6069.1	11832.8	7651.9	2244.3	915.5	648.0	678.4	618.9	432.3	286.8	542.1	988.9	987.5	923.1
2	ბაღდათი	678.2	669.9	1129.0	1006.7	86.3	40.4	44.6	151.1	11.1	55.0	2.5	11.5	53.0	78.1	59.3
3	ვანი	873.4	884.5	1919.5	1292.7	190.2	70.9	42.6	206.4	152.7	65.1	1.7	2.1	53.4	42.0	69.2
4	ზესტაფონი	1630.4	2255.0	2911.7	3170.5	1271.0	80.0	219.5	588.2	276.5	283.7	13.7	19.0	654.0	307.8	385.3
5	თერჯოლა	1171.7	1185.3	1710.3	1563.6	261.0	170.8	208.1	124.0	87.4	46.4	90.0	110.2	121.0	249.9	256.2
6	სამტრედია	1438.0	1728.7	2425.5	1998.2	479.9	175.2	268.2	759.4	136.7	96.6	174.2	478.9	650.3	266.0	283.3

7	საჩხერე	1028.6	1194.5	1892.3	1605.5	298.2	120.0	194.6	297.1	117.0	85.6	18.7	50.2	201.9	115.6	71.9
8	ტყიბული	869.8	958.9	1572.1	2693.3	224.1	119.2	94.1	167.9	86.4	61.6	42.2	48.1	72.6	96.8	65.1
9	წყალტუბო	1334.0	1445.0	2019.0	1876.8	163.1	110.0	160.0	291.0	167.6	133.1	89.0	101.1	272.9	172.6	158.4
10	ჭიათურა	1566.5	1513.4	2670.7	2306.8	279.9	127.6	155.1	389.3	406.3	136.5	27.8	73.2	175.8	207.3	160.9
11	ხარაგაული	823.0	803.1	1426.6	1187.4	232.6	50.3	63.1	138.6	42.2	35.4			42.0	119.7	99.6
12	ხონი	771.5	832.0	1596.3	1207.9	332.4	73.0	59.3	139.0	77.7	88.2	19.0	15.1	44.7	67.7	80.8
სულ მხარე		17777.6	19539.4	33105.8	27561.3	6063.0	2052.9	2157.2	3930.4	2180.5	1519.5	765.6	1451.5	3330.5	2711.0	2613.1

N	თვითმმართველი ქალაქი, მუნიციპალიტეტები	საბინაო კომუნალური მეურნეობა					დასვენების ორგანიზაცია და საქმიანობა კულტურის, სპორტისა და რელიგიის სფეროში					სულ ხარჯები				
		2002 წლის ფაქტი	2003 წლის ფაქტი	2004 წლის ფაქტი	2005 წლის ფაქტი	2006 წლის ფაქტი	2002 წლის ფაქტი	2003 წლის ფაქტი	2004 წლის ფაქტი	2005 წლის ფაქტი	2006 წლის ფაქტი	2002 წლის ფაქტი	2003 წლის ფაქტი	2004 წლის ფაქტი	2005 წლის ფაქტი	2006 წლის ფაქტი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
1	ქუთაისი	2121.2	2036.3	2140.7	8989.2	17806.4	1707.9	2076.8	1176.8	2334.0	3498.3	13255.2	14532.6	20583.3	23763.1	29003.1
2	ბაღდათი	61.2	35.2	64.9	130.4	208.3	90.1	64.3	157.3	173.7	218.2	1202.0	1129.4	1998.8	1821.7	1235.6
3	ვანი	144.5	14.6	40.3	117.4	164.7	108.5	75.6	138.6	128.9	280.8	1573.9	1392.1	2806.9	2869.7	1772.0
4	ზესტაფონი	88.0	100.8	165.5	257.0	311.4	238.2	308.1	352.4	372.3	395.8	2753.0	3868.5	6736.4	7254.8	5080.1
5	თერჯოლა	99.4	205.3	94.7	432.6	600.5	127.7	127.0	159.1	209.4	206.1	2233.1	2554.8	2897.6	3312.3	2376.7
6	სამტრედია	359.3	380.2	951.1	705.1	968.4	257.2	280.2	542.9	427.7	532.6	3676.2	4544.0	7533.4	5020.9	4043.5

7	საჩხერე	222.6	117.9	152.9	90.4	241.6	155.9	160.3	308.6	340.0	341.7	2010.9	2295.8	3432.0	2824.2	2038.9
8	ტყიბული	179.4	129.2	112.7	185.4	306.7	225.2	209.4	303.1	447.6	386.8	1740.7	1850.4	2803.6	4474.2	1917.1
9	წყალტუბო	297.0	540.0	68.7	104.7	141.2	267.5	248.1	186.0	136.7	231.0	2689.2	3007.2	3434.1	3238.6	2148.2
10	ჭიათურა	113.5	120.6	241.1	513.4	933.4	249.2	237.6	462.1	580.4	889.9	2663.7	2731.7	4772.8	4982.8	3892.0
11	ხარაგაული	31.5	28.0	39.1	193.4	72.7	56.0	70.4	111.0	73.5	79.2	1207.3	1219.0	2123.2	2048.1	1132.2
12	ხონი	94.9	65.7	31.1	65.0	26.9	78.1	57.3	138.0	175.2	344.1	1295.0	1350.5	2314.3	2028.0	1776.7
სულ მხარე		38125	3773.8	4102.8	11784	21782.2	3561.5	3915.1	4035.9	5399.4	7404.5	36300.2	40476	61436.4	63638.4	56416.1

შენიშვნა: საერთო ხარჯები 2006 წელს წინა წლებთან შედარებით შემცირებულია ძირითადად განათლების სფეროში ხარჯების შემცირების გამო, რაც დაფინანსების წესის შეცვლით (ვაუჩერიზაციაზე გადასვლა) არის განპირობებული

6.2. მრეწველობა

მრეწველობის დარგებისა და შესაბამისი პროდუქციის დახასიათება (წარმოების მოცულობა 2006 წელს, მისი დინამიკა ბოლო სამი წლის განმავლობაში)

N	დასახელება	წარმოებული პროდუქციის მოცულობა დღგ-სა და აქციზის გარეშე (ათასი ლარი)		
		ფაქტობრივ ფასებში		
		წლის დასაწყისიდან		
		2005	2004	+ -
	იმერეთის მრეწველობის პრ-ია	236815.2	169228.8	67586.4
I	მანქანების და მოწყობილობის წარმოება სულ	503.5	397.0	106.5
II	ელ. ენერჯის წარმოება სულ	19768.5	19585.4	183.1
III	კვების პროდუქტების სასმელების წარმოება სულ	18099.0	21070.5	-2971.6
	მათ შორის			
1	ხორბლის გადამუშავება	3774.7	4951.8	-1177.1
2	პურისა და პუფუნთუშეულის წარმოება	10665.4	12448.9	-1783.5
3	ხორცისა და ხორცის პროდუქტების წარმოება სულ	267.9	292.6	-24.7
4	ღვინისა და სხვა სპირტიანი სასმელების წარმოება	224.0	649.6	-425.6
5	ჩაის წარმოება	361.1	297.5	63.6
6	ლუდის წარმოება	642.5	806.9	-164.4

7	უალკოჰოლო სასმელების წარმოება	878.9	508.8	370.1
8	საკონდიტრო წარმოება	42.8	51.7	-8.9
9	სხვადასხვა კვების პროდუქტების წარმოება	1241.6	1062.7	178.9
IV	ქიმიურ ნივთიერებათა წარმოება	1235.9	832.8	403.1
V	რეზინისა და პლასტამასის წარმოება	1169.1	750.3	418.8
VI	წყლის დაგროვება და გაწმენდა	4476.3	4080.1	396.2
VII	მეტალურგია და ლითონპროდუქტების წარმოება	147457.4	83734.8	63722.6
VIII	სხვა არალითონური მინერალური პროდუქციის წარმოება	5733.1	2983.7	2749.4
IX	საფეიქრო (მსუბუქი) მრეწველობა	3857.7	1143.0	2714.8
X	ტყავისა და ტყავნაწარმის წარმოება	382.4	270.9	111.5
XI	ავეჯის წარმოება	1541.1	1222.3	318.8
XII	საგამომცემლო და პოლიგრაფიული წარმოება	388.4	341.4	47.0
XII	ხე-ტყისა და ხის ნაწარმის დამუშავება	1276.0	1093.0	183.0
XIV	სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება	2677.6	3292.7	-615.1
XV	ელექტრო-ოპტიკური მოწყობილობების წარმოება	243.8	137.6	106.2
XVI	მასალების მოპოვება შახტებში	23382.9	21788.9	1594.0
XVII	კარიერების დამუშავება	1157.2	1112.4	44.8
XVIII	სხვადასხვა წარმოება	1198.7	3300.9	-2102.3
XIX	ელენერგის მომარაგებით მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები	37.8	622.3	-584.5

XX	გაზით, ორთქლითა და ცხელი წყლით მომარაგება	2229.0	1468.8	760.2
----	---	--------	--------	-------

* სტატისტიკის სამხარეო სამსახურის მიერ 2006 წლის შედეგების ამსახველი ანალოგიური მონაცემები ადგილზე აღარ მუშავდება.

სამრეწველო საწარმოთა ძირითადი მაჩვენებლები

N	დასახელება	მცირე საწარმოები (20 კაცამდე)			საშუალო საწარმოები (20-100 კაცი)			მსხვილი საწარმოები (100 კაცზე მეტი)			სულ მოქმედი საწარმოები		
		საწარმოთა რაოდენობა	დასაქმებულითა რაოდენობა	წარმოებული პროდუქციის (ათ. ლარი)	საწარმოთა რაოდენობა	დასაქმებულითა რაოდენობა	წარმოებული პროდუქციის (ათ. ლარი)	საწარმოთა რაოდენობა	დასაქმებულითა რაოდენობა	წარმოებული პროდუქციის (ათ. ლარი)	საწარმოთა რაოდენობა	წარმოებული პროდუქცია (ათ. ლარი)	დასაქმებულთა რაოდენობა
												2005 წ	2005 წ
1	ქუთაისი	137	739	6324.5	16	773	7917.25	7	1687	18645.3	160	32887.1	3199
2	ბაღდათი	35	200	1394.1	1	22	391.5	0	0	0	36	1785.6	222
3	ვანი	23	68	773.3	0	0	0	0	0	0	23	773.3	68
4	ზესტაფონი	57	159	2521.9	5	211	391.4	1	2396	145501	63	148414.3	2766
5	თერჯოლა	33	139	1706.05	4	133	2285.923	1	100	1783.1	38	5775.073	372
6	სამტრედია	42	198	1466	4	142	745.4	0	0	0	46	2211.4	340
7	საჩხერე	27	101	992.5	5	191	1915.1	0	0	0	32	2907.6	292
8	ტყიბული	47	155	669.45	4	199	2108.8	1	454	182.5	52	2960.75	808

9	წყალტუბო	31	157	4426.915	5	181	2037.6	2	249	7148.1	38	13612.615	587
10	ჭიათურა	40	94	2035.84	4	145	938.4	1	4220	21301.4	45	24275.64	4459
11	ხონი	25	92	521.6	1	24	55.9	0	0	0	26	577.5	116
12	ხარაგაული	27	121	634.4	0	0	0	0	0	0	27	634.4	121
13	სულ იმერეთი	524	2223	23466.575	49	2021	18787.3	13	9106	194561.4	586	236815.2	13350

* სტატისტიკის სამხარეო სამსახურის მიერ 2006 წლის შედეგების ამსახველი ანალოგიური მონაცემები ადგილზე აღარ მუშავდება.

6.3 სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის დარგებისა და შესაბამისი პროდუქციის დაასიათება (წარმოების მოცულობა 2006 წელს, მისი დინამიკა ბოლო სამი წლის განმავლობაში).

სოფლის მეურნეობა მხარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მემცენარეობის პროდუქციიდან ძირითადია სიმინდი, ყურძენი და ბოსტნეული. კერძოდ, მწვანილი – ცერეცო, ქინძი, ოხრახუმი, მწვანე ხახვი და წიწმატი მთელი სეზონის განმავლობაში, ასევე სანელებლების დამზადება. ნედლეულის ბაზა – წყალტუბოს რაიონი, სადაც შესაძლებელია მოწეულ იქნეს 3 ათასი ტონა ცერეცო, 500ტ. ქინძი, 1500 ტ. ოხრახუმი, 250 ტ.

წიწაკა, ასევე ზაფრანი, კამა, და ქონდარი 20 ტონის ფარგლებში. მიმდინარეობს მუშაობა სანელებლების დამამზადებელი მინისაწარმოს მშენებლობისათვის. ბაღჩეული – კიტრი, პომიდორი, სატაცური, ოსპი (წყალტუბოს, ვანის, ბაღდათის მუნიციპალიტეტები); ხილი – ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ტყემალი, ხურმა, შინდი (ვანის, თერჯოლის, სამტრედიის მუნიციპალიტეტები); თაფლი (ბაღდათი, ხარაგაული, წყალტუბო, თერჯოლა). ცალკე უნდა აღინიშნოს ჩაის შესახებაც. მეჩაიეობის ძირითადი ზონებია: წყალტუბო, ტყიბული და ხონი.

განსაკუთრებით განვითარებულია დარგის შემდეგი მიმართულებები:

- მარცვლეული კულტურების წარმოება;
- მეჩაიეობა;
- მევენახეობა;
- მეხილეობა;
- მებოსტნეობა;
- მეფუტკრეობა;
- თხილის წარმოება;
- მეცხოველეობა.

წამყვანი სახეების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება

N	ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული	მარცვლეული, ტონა		ბოსტნეული, ტონა		ყურძენი, ტონა		ჩაი, ტონა		ხილი, ტონა		ხორცის წარმოება, ტონა		რძის წარმოება, ტონა	
		2004	2005	2004	2005	2004	2005	2004	2005	2004	2005	2004	2005	2004	2005
1	ქუთაისი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	98	154	1360	1223
2	ტყიბული	5090	6167	185	448	492	756	500	540	1364	2736	813	639	4287	6515
3	წყალტუბო	15401	12908	12642	12546	893	1023	150	308	3157	6242	2798	2933	21047	22125
4	ჭიათურა	11563	10239	960	914	784	1503	-	-	1896	4124	2178	1940	11720	11559
5	ბაღდათი	10368	10882	550	180	6529	7235	-	-	2183	4150	1324	1282	7040	7172
6	ვანი	12460	9735	6500	3900	4738	7100	12	-	2116	4592	1724	1451	11000	11463
7	ზესტაფონი	9795	21933	1700	499	11455	18410	-	-	2635	4604	2378	2287	19353	16568
8	თერჯოლა	13290	18080	3900	1350	8790	12950	-	-	3441	6720	2401	2532	28220	26946
9	სამტრედია	15970	11311	5300	1070	1080	1850	120	130	617	3525	1870	1889	15550	15212
10	საჩხერე	13648	12182	2744	2686	3875	3686	-	-	6082	6742	1822	1785	14515	14381
11	ხარაგაული	8078	7780	1850	1820	3000	3030	-	-	2581	4867	1702	1388	8115	9119
12	ხონი	13400	14313	2073	1110	409	319	530	675	1049	2271	1608	1812	15880	13117
	ს უ ლ	129063	135530	38404	26523	42045	57862	1312	1653	27121	50573	20716	20092	158087	155400

* 2006 წლის შედეგების ამსახველი კანალოგიური მონაცემები სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან ჯერჯერობით არ არის მოწოდებული.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობა სახეების მიხედვით

N	ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული	ფართობი, ჰა				
		სასოფლო-სამეურნეო მიწა	სახნავი	მრავალწლიანი ნარგავები	სათბურები	სათიბ-სამოვრები
1	ტყიბული	3358	3105	236	0	17
2	წყალტუბო	13953	11701	1097	165	990
3	ჭიათურა	7261	6306	773	0	183
4	ბაღდათი	5195	3638	1424	10	124
5	ვანი	8675	5607	2223	2	843
6	ზესტაფონი	9381	6795	2443	1	142
7	თერჯოლა	9859	8169	1421	2	267
8	სამტრედია	9377	8437	664	7	269
9	საჩხერე	9768	8351	878	1	538
10	ხარაგაული	4915	4201	531	0	184
11	ხონი	6667	5791	556	5	314
	სულ	88410	72101	12246	193	3871

სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისების მდგომარეობის დინამიკა 2004-2006 წლებში:

ექსპერტული გათვლების თანახმად 2004 წელს დამუშავებულ იქნა საერთო რაოდენობის 75%, 2005 წელს – 80%, 2006 წელს – 70%.

**სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის
პრივატიზების მდგომარეობა 2007 წლის 1 იანვრისათვის**

N	ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული	სულ სასოფლო- სამეურნეო ფართობი ჰა.	პრივატი- ზებულია ჰა.	პირდაპირი მიყიდვის ფორმით ჰა.	სპეციალიზ- ებული აუქციონის ფორმით ჰა.	ღია აუქციონის ფორმით ჰა.
1	ბაღდათი	19087	6754.02	350	—	—
2	ვანი	19235	9261	460.92	144.3	20.15
3	ზესტაფონი	200053	11743.60	620	10	—
4	თერჯოლა	21503	13118	56	—	—
5	სამტრედია	20349	11277	544	529	83
6	საჩხერე	17692	9849.88	50.75	—	—
7	ტყიბული	12186	4813	3.05	—	—
8	ხარაგაული	14438	6421	—	—	—
9	ხონი	18042	7776	200	—	—
10	წყალტუბო	29285	15521	700	59	—
11	ჭიათურა	16726	10336	50	—	—
	სულ	2080596	107756.42	3034.7	742.3	103.15

ექსპერტული გათვლების თანახმად მცირემიწიანი (1,25 ჰა-მდე ფართობი) გლეხების რაოდენობა რაიონების მიხედვით:

N	ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული	გლეხების რაოდენობა, <1,25 ჰა-მდე ფართობი, კაცი
1	ტყიბული	6368
2	წყალტუბო	11876
3	ჭიათურა	14400
4	ბაღდათი	7036
5	ვანი	9288
6	ზესტაფონი	14813
7	თერჯოლა	9440
8	სამტრედია	10043
9	საჩხერე	11946
10	ხარაგაული	10658
11	ხონი	7346

ექსპერტული გათვლების თანახმად იმერეთში 100-მდე მსხვილი ფერმერული მეურნეობაა, რომლებიც ძირითადად ეწევიან მეცხოველეობას, მევენახეობას, მეღორეობას, მეფრინველეობას, მეხილეობას, მეფუტკრეობას, მემწვანილეობას. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის მომსახურე აგროცენტრების, სერვის-ცენტრების რაოდენობას და მათი მასალებითა და ტექნიკით აღჭურვილობის დონეს, იმერეთში ისინი არ არის შექმნილი.

6.4 სატრანსპორტო სისტემა

მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალის რანგში უნდა განვიხილოთ იმერეთის რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც ევროპისა და აზიის ქვეყნების დამაკავშირებელი სატრანზიტო დერეფნის როლით გამოიხატება. რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრიდან – ქუთაისიდან მანძილი უახლოეს საზღვაო პორტამდე – ფოთამდე 102 კილომეტრია, დედაქალაქამდე – 236 კმ. ქუთაისში ფუნქციონირებს 2 აეროპორტი, რომლიდანაც ერთ-ერთში (კოპიტნარის) სრულდება საერთაშორისო რეისები.

გზებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით 2006 წელს შესრულებულია სამუშაოები, რომელიც ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსდა. იმერეთში სულ 1 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის გზის საფარი დაეგო და შეკეთდა. შესაბამისად, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა რეგიონის ეკონომიკის ერთ-ერთი მსხვილი დარგებია.

იმერეთში ტრანსპორტის სახეობებიდან ძირითადად განვითარებულია საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტი. 2006 წელს სატრანსპორტო მომსახურების მოცულობამ 5,6 მლნ. ლარს მიაღწია, ხოლო დარგში დასაქმებულთა რიცხოვნობამ – 1827. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში ფუნქციონირებდა 89 საწარმო.

აღსანიშნავია, რომ ტრანსპორტის სფეროში საბანკო კრედიტების საფუძველზე რეგიონში რამდენიმე სატრანსპორტო საწარმო შეიქმნა. მათ შორის, სერვისი – „ტაქსი გამოძახებით“, დაახლოებით ორასი ახალი

სამუშაო ადგილით. სატრანსპორტო სფეროში საბანკო კრედიტების მეშვეობით კიდევ ახალი, კომფორტული ავტომობილების შემოყვანა იგეგმება როგორც შიდასაქალაქო, ისე საქალაქთაშორისო ხაზებზე.

ექსპერტთა მონაცემებით იმერეთში საავტომობილო გზების საერთო სიგრძეა 2754,8 კმ, ხოლო სარკინიგზო – 229,285 კმ.

იმერეთის რეგიონში არის ტელეფონის 61 ათასი აბონენტი (აქედან ქუთაისში 30 ათასი), ანუ 1000 სულ მოსახლეზე რეგიონში 87 ერთეული (ქუთაისში 161 ერთეული). რეგიონში მოსახლეობის 11%-ს აქვს მობილური ტელეფონი (ქუთაისში 20%-ს). ყველა მსხვილ ქალაქში მოქმედებს GSM კომპანიების ფილიალები.

6.5 ენერგეტიკა

იმერეთი ენერგორესურსებით მდიდარი რეგიონია, რამაც განაპირობა ხუთი ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონირება.

აქედან გამომდინარე, ელექტროენერჯის წარმოება რეგიონის სამრეწველო წარმოების უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელსაც მთელი წარმოების სტრუქტურაში 21-23%-იანი სეგმენტი უჭირავს.

**იმერეთის ჰიდროელექტროსადგურების წარმოებული პროდუქციის მოცულობა
ნატურაში და პოტენციურ (დადგმულ) სიმძლავრეთა მაჩვენებლები**

N	ჰიდროელექტროსადგურის დასახელება	პოტენციური (დადგმული) სიმძლავრეები (მეგავატი)	სიმძლავრეთა გამომუშავების შესაძლებლობა (მეგავატი)	წარმოებული პროდუქციის მოცულობა (ათასი ლარი)		
				2005 წ. 9 თვეში	2006 წ. 9 თვეში	+, -
1.	რიონჰესი	325,0	290,0	3297.9	5266.3	+1968,4
2.	გუმათჰესი	370,0	217,0	2236.1	4333.2	+2097,1
3.	ძვერულჰესი	80,0	75,0	1202.9	1681.9	+479,0
4.	შაორჰესი	38,4	28,0	1354.5	1017.8	-336,7
5.	ვარციხეჰესი	184,0	80,0	5175.2	7347.4	+2172,2
	სულ	997,4	690,0	13266.6	19646.6	+6380,0

რაც შეეხება ჰესების განსახელმწიფოებრიობას, მათი ნაწილი პრივატიზებულია (სს „შაორჰესი“) და ახლო მომავალში განსაზღვრულია ყველა ჰესის პრივატიზება.

გასულ, 2006 წელს იმერეთში გაგრძელდა – 24 საათიანი ენერგომომარაგება. გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის პრიორიტეტად კვლავ რჩება მომხმარებელთა ენერგომომარაგებისა და მომსახურების ხარისხის დახვეწა. გასული წლის განმავლობაში მაქსიმალურად ხდებოდა რეალიზებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღება.

2006 წელს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალში აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურიდან ამოღებულმა თანხამ 46 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2005 წლის შედეგს 14.5 მლნ. ლარით აღემატება, თუმცა ელექტროენერჯის მოხმარების კლებამ 84 მლნ. კვტ/საათი შეადგინა 2005 წელთან შედარებით (2006 წელს მოხმარებული იქნა 575,5 მლნ. კვტ/სთ).

2005 წლის აგვისტოდან იმერეთის 4 მსხვილ ქალაქში დაიწყო გამრიცხველიანების პროცესი (ქუთაისი, სამტრედია, ზესტაფონი და საჩხერე). პროგრამის ფარგლებში სულ 61246 აბონენტი გამრიცხველიანდა, მათ შორის ქუთაისში – 38741 აბონენტი, ზესტაფონში – 9829, სამტრედიაში – 10528, ხოლო საჩხერეში – 2148 აბონენტი. 2006 წლის დეკემბრიდან დაიწყო და ახლო მომავალში მათ შეემატება თერჯოლის 1921 აბონენტი.

6.6 ექსპორტი

რეგიონში საექსპორტო პროდუქციის დინამიკა ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. ექსპორტის მხრივ განსაკუთრებული ადგილი მხარის მრეწველობაში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას უჭირავს, რომლის ხვედრითი წილი საექსპორტო პროდუქციაში 88%-ის ფარგლებშია. ძირითადი ადგილი უჭირავს მეტალურგიასა და ლითონპროდუქტების ექსპორტს, ხოლო კვების პროდუქტებიდან აღსანიშნავია: ღვინომასალები, ჩაი, მწვანელი, რომლებიც ევროპისა და რუსეთის ბაზრებზეა ორიენტირებული.

საექსპორტო პროდუქციის დინამიკა 2000-2005 წლებში (ათასი ლარი)

მაჩვენებელი	2003	2004	2005*	2006*
საექსპორტო პროდუქცია	69858,6	94400	160000	174300
ხვ. წილი გადატვირთულ პროდუქციაში (%)	52	54	65	66
სს "ფერო"-ს ხვ. წილი საექსპორტო პროდუქციაში (%)	78.0	82	88	90

6.7 ვაჭრობა

დარგი მეტად მნიშვნელოვანია როგორც ფისკალური, ისე სოციალური თვალსაზრისით. აქ დასაქმებულია 3027 კაცი. 2006 წელს საცალო ვაჭრობის მოცულობამ 128 მლნ. ლარს მიაღწია, ანუ თვეში საშუალოდ 10,7 მლნ. ლარს.

დარგის განვითარებაზე პოზიტიურად მოქმედებს გამართული საბანკო სფერო და დაკრედიტების სისტემა. კერძოდ, დარგის განვითარებისათვის გაცემული კრედიტების მოცულობამ 2006 წელს 70,8 მლნ. ლარი შეადგინა, რაც საერთო მოცულობის ანუ ყველა დარგზე გაცემული კრედიტის 43%-ია.

* ექსპერტული გათვლებით

მიმდინარე წლიდან ქ. ქუთაისში ფუნქციონირებას დაიწყებს 2 ახალი, თანამედროვე სავაჭრო ცენტრი, რომლებზეც გაწეული კაპიტალური ინვესტიციები 5,5-6 მლნ. ლარს შეადგენს.

6.8. სასტუმროების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

საბჭოთა პერიოდში დასავლეთ საქართველოს ყოფილი ტურისტული ცენტრი, საიდანაც ხდებოდა ტურისტთა ნაკადის რეგულირება დასავლეთ საქართველოს კურორტებსა და დასასვენებელ ბაზებზე, ემსახურებოდა 150000 ტურისტს საშუალოდ წელიწადში, 9 მსხვილი განთავსების ობიექტით 2500 საწოლზე. დღეს ქუთაისი წარმოდგენილია 31 სასტუმრო სახლითა და 3 ახალი სასტუმროთი, რომელთა საერთო მოცულობა 503 პერსონაზეა გათვლილი.

იმერეთის რეგიონში ამჟამად 42 სასტუმრო ფუნქციონირებს, რომელიც 1411 ერთეულზეა გათვლილი. აქედან მუნიციპალიტეტებში სულ 11 სასტუმროა, მათ შორის: ბაღდათში 3 სასტუმრო 440 ადგილით, ვანში – 1 (90 ადგილით), სამტრედიიაში – 1 (12 ადგილით), წყალტუბოში – 5 (358 ადგილით) და ხარაგაულში – 1 სასტუმრო 8 ადგილით.

მიმდინარე წელს წყალტუბოში დასრულდება 4 სასტუმროს მშენებლობა-რეაბილიტაცია, რომელიც ათასზე მეტ დამსვენებელს მიიღებს. გაფორმებულია ხელშეკრულებები მომავალი წლიდან დსთ-ის ქვეყნებიდან ტურისტთა ნაკადის მიღებაზე.

6.9 კომერციული ბანკები

2006 წლის მანძილზე იმერეთში მოქმედი კომერციული ბანკების („საქართველოს ბანკი“, „თი ბი სი“ ბანკი, „პროკრედიტბანკი“, „სახალხო ბანკი“, ბანკი „ქართუ“, „გ.ქ.ბ“, „სტანდარტბანკი“ და ბანკი „რესპუბლიკა“) ფილიალების მიერ ადგილობრივი ეკონომიკის დაკრედიტება კვლავ ზრდის მაღალი ტემპით აღინიშნა. 2006 წელს ეკონომიკისთვის გაცემულმა სესხებმა 120 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 32,22%-ით აღემატება 2005 წლის ანალოგიურ პერიოდში გაცემული კრედიტების მოცულობას (90.7 მლნ. ლარი). სესხების ზრდის ფონზე გრძელდებოდა დაკრედიტების პირობების გაუმჯობესება და ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვა. კომერციული ბანკების ფილიალების მიერ გაცემული კრედიტების მიხედვით იმერეთსა და ქუთაისს ქვეყნის მთლიან მაჩვენებლებთან მიმართებაში 5%-იანი სეგმენტი აქვს დაკავებული.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის გარდა იმერეთის დანარჩენ თერთმეტ მუნიციპალიტეტში ბანკებმა დაიწყეს აქტიური საკრედიტო პოლიტიკის წარმოება და 2005 წელთან შედარებით 2006 წელს გაცემული სესხების მოცულობა თითქმის 5-ჯერ გაიზარდა. რეგიონში საკრედიტო რესურსების ძირითადი ნაკადი მიმართულია ვაჭრობა-მომსახურებისა და ფიზიკური პირების დაკრედიტებაზე, რამაც შესაბამისად მთლიანი სესხის 39,6% (45,65 მლნ. ლარი) და 49% (59.4 მლნ. ლარი) შეადგინა; ასევე მაღალია ამ დარგების დაკრედიტების ზრდის ტემპები (შესაბამისად 39,34% და 28,83%).

აღსანიშნავია მშენებლობისა და ტრანსპორტის სფეროების დაკრედიტების მასშტაბები. მშენებლობა 2005 წელს დაკრედიტდა 2,69 მლნ ლარით, ხოლო 2006 წელს გაიცა 3,83 მლნ ლარი, (გაიზარდა 42,3%-ით). რაც

შეეხება ტრანსპორტის დაკრედიტებას, ზრდამ თითქმის 113,6% შეადგინა. მიმდინარე პერიოდისათვის გაცემულია 2,356 მილიონი ლარის კრედიტი, რაც მნიშვნელოვნად წინადადგმული ნაბიჯია გასული წლებისგან განსხვავებით.

2006 წლის მანძილზე გაიზარდა სესხის მომსახურების კულტურა, შემცირდა ვადაგადაცილებები (მთლიან სესხებში ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა 0.49%-ია, მაშინ როცა 2005 წელს 0.92%-ს შეადგენდა).

6.10 ჯანმრთელობის დაცვა

ჯანმრთელობის დაცვა იმერეთისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. აქ დასაქმებულთა რიცხოვნობა 7266 კაცია, რაც 276 კაცით აღემატება 2005 წლის მაჩვენებელს. მნიშვნელოვანია, რომ ზრდის ტენდენციით გამოირჩევა ჯანდაცვის სფეროს მიერ გაწეული მომსახურების მოცულობა. კერძოდ, 2006 წელს მან 18,6 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო ზრდის ტემპმა – 143%.

ნიშანდობლივია, რომ ქუთაისში ფუნქციონირებს აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრი, რომლის მშენებლობა, აღჭურვა და კადრების მომზადება 20 მლნ. დოლარის ღირებულების ფარგლებში განხორციელდა. პროექტის დაფინანსებაში დიდი წვლილი საქართველოს

მთავრობამ გაიღო. კლინიკაში, პირველად საქართველოში, მუშაობს ელექტროფიზიოლოგიისა და ანგიოგრაფიული ლაბორატორიები, კეთდება უნიკალური ოპერაციები.

იმერეთის მხარის სამედიცინო დაწესებულებები

N	სამედიცინო დაწესებულებები	ქუთაისი	ზესტაფონი	სამტრედია	ჭიათურა	წყალტუბო	ტყიბული	თერჯოლა	საჩხერე	ხონი	ვანი	ბაღდათი	ხარაგაული	სულ	
1	ჯანმრთ. საქ. განყოფილება	1			1									2	
2	საზ. ჯანდაცვის ცენტრი	1	1	1	1			1	1		1	1	1	9	
3	სტაციონარი	სულ	11	3	4	4	2	0	2	1	2	1	0	1	31
		საავად.	6	2	2	3	1		2	1	2	1		1	21
		ბავშვ.	1		1										2
		სამშ.	4	1	1	1	1								8
4	პოლიკლინიკა	სულ	16	2	3	2	2	2	1	1	1	1	1	1	33
		მოზრდ.	9	1	1	1	2	1	1	1	1	1		1	20
		ბავშვ.	4	1	1										6
		სტომატ	3		1	1		1					1		7
5	საავად. პოლოკ. გაერთიანებები	1	1				1					1		4	
6	ქალთა კონსულტაცია	5			1									6	
7	სასწრაფო დახმ. სადგური (დამოუკ)	1	1	2	1	1								6	
8	დისპანსერი	სულ	5	3	2	1	1	0	0	0	0	0	0	0	12
		ონკ.	1												1
		კარდ	1												1
		ფსიქ.	1	1	1										3

		ნარკ.	1											1		
		დერმ.	1	1										2		
		ტუბ.		1	1	1	1							4		
9	კაბინეტები	სულ	6	5	2	4	0	0	0	1	0	0	0	18		
		თერაპ.		2		1								3		
		სტომ.	4	2	1	2				1				10		
		ლაბორ.	1			1								2		
		სხვა	1	1	1									3		
10	საექიმო ამბულატორია	სულ	3	17	12	11	12	1	16	6	11	7	7	8	111	
		მ.შ. გაერთ						9							9	
11	სამეცნ. კვლევითი ინსტიტუტი						1								1	
12	სანატორიუმი						1					1	1		3	
13	პანსიონატი		1						1						2	
14	სისხლის ბანკი		1												1	
15	სასწავლო დაწესებულებები	სულ	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	
		ინსტ.	1													1
		კლინიკ	2													2
		სხვა														0
16	პროფდებგანყოფილებები	3	1	1		2									7	
17	სხვა	8	1	1		2			1						13	
სულ			65	35	28	26	24	4	21	11	14	10	11	12	262	

შენიშვნა:

1. დისპანსერები, რომლებიც სტაციონარული პროფილის მატარებელიცაა, შესულია მხოლოდ დისპანსერების ჩამონათვალში.
2. კაბინეტების ჩამონათვალში არ შედის დისპანსერული პროფილის კაბინეტები.

7. მინერალური და რეკრეაციული რესურსები

რეგიონი მნიშვნელოვანწილად გამოირჩევა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წიაღისეული სიმდიდრეების მრავალფეროვნებით. ამჟამად იმერეთში 100-ზე მეტი მინერალურ-სანედლეულო რესურსების საბადოა აღრიცხული, რომელთაგან ნახევარზე მეტი საექსპორტოა.

ძირითადი წიაღისეული სიმდიდრეა ჭიათურის მანგანუმი, რომლის ბალანსური და ბალანსგარეშე მარაგი 215 მილიონ ტონას შეადგენს მადნის ყველა ტიპის (ჟანგეული, კარბინატული, დაჟანგული, შერეული, ქვიშაქვები) მიხედვით. მანგანუმის ჯერ კიდევ დაუმუშავებელი მარაგის არსებობა სავარაუდოა ყვირილისა და ზესტაფონის რაიონებში, ჩხარი-აჯამეთის, ქუთაისისა და თერჯოლის ტერიტორიებზე. მხარის მნიშვნელოვანი წიაღისეული რესურსია ტყიბულისა და გელათის ქვანახშირის, ბარიტის, ლიატონიტის საშენ მასალათა თიხის მარაგი. ქუთაისის მიდამოები მდიდარია ბეტონოტური თიხებით (გუმბრინი), მარმარილოს, ეკლარის კირქვის, კურსების ტემენიტის, ბაზალეთის საბადოებით.

მეტად მრავალფეროვანია მხარის რაიონების ნიადაგი. მათი გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, კლიმატი და მცენარეული საფარი განაპირობებენ ნიადაგის ხასიათს. უპირატესი გავრცელება აქვს: ალუვიურ, სუბტროპიკულ ეწერ ყვითელმიწა, წითელმიწა, ნეშომპალა-კარბონატულ და კომრალ ნიადაგებს. მაღალმთიან რაიონებში გვხვდება ღია გაეწრებული ტყის მურა ნიადაგებიც. ყვითელმიწა და თხელ ფენად წითელმიწა ნიადაგები. ორივე მათგანი გამოიყენება ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურის გასაშენებლად.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი

ჭიათურის მანგანუმის საბადო;

„რცხილათის“ ბარიტის გამოვლინება;

სალიეთის მარმარილოსებური კირქვის საბადო, მარაგი –1,7მ³;

სხვიტორის, (მოხორთუბანი) მარმარილოსებური კირქვის საბადო, მარაგი – 740000მ³;

ბერეთისის კირქვის საბადო, მარაგი – 8,4 მილ.მ³;

მანდაეთის კირქვის გამოვლინება;

ჯოყოეთის მარმარილოსებური კირქვის გამოვლინება;

დარკვეთის, შუქრუთის, ითხვისის, მერევის, მღვიმევის, ნაფარცხევის, პერევისას და კაცხის კვარციანი ქვიშების საბადოები და გამოვლინებები. ზოგადად აღნიშნულია 8 ნომრით;

ნავარძეთის კირქვის (კალციუმის კირი, ღორღი) – 6,9 მილ.მ³;

მერევის და პერევისის სააგურე თიხის გამოვლინება;

მეჩხეთურის კირქვის (მოსაპირკეთებელი მას.) გამოვლინება.

საჩხერის მუნიციპალიტეტი

„ითავაზა-1“ კვარციანი ქვიშის საბადო;

„საფარის ღელის“ კვარციანი ქვიშის საბადო, მარაგი 2,3 მილ.მ³;

„პერევის“ კერამიკული თიხის საბადო;
სოფ. არგვეთისა და სავანის ქვიშების გამოვლინება;
„ჭალის“ ქვანახშირის გამოვლინება;
სოფ. სარევის მანგანუმის მადნის გამოვლინება;
სხვიტორის (ბაჯითის უბანი) მარმარილოსებური კირქვა – 367 ათასი მ³;
საჩხერის კირქვის (II ხარისხის კალციუმის კირი) საბადო, მარაგი – 11,7 მილ.მ³;
ლაშურის სააგურე (175 მარკის) თიხის საბადო, მარაგი – 6,9 მილ.მ³;
ქორეთის კვაც-კაჟშპატიანი ქვიშის საბადო, მარაგი – 4,0 მილ. მ³;
ჯრუჭულას ქვიშა-ხრეშის საბადო, მარაგი – 2,4 მილ. მ³;
კვერეთის მინერალური წყლის გამოვლინება;
მდ. ყვირილასა და ჩიხურას ინერტული მასალის გამოვლინება
„ბაჯითის“ კვარც მინდვრისშპატიანი ქვიშის გამოვლინება.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

მდ. ყვირილას კალაპოტში ქვიშა-ხრეშის გამოვლინება;
სოფ. ზედა საქარას გრანიტების გამოვლინება;
შროშა-საზანოს პეგმატიტების გამოვლინება;

მდინარე ყვირილას ხეობის ინერტული მასალის გამოვლინება;
სვირის მარმარილოსებური კირქვის (დეკორატ. ღორღი) საბადო, მარაგი – 534 ათასი მ³;
საქასრიას მარმარილოსებური კირქვის (მოსაპირკეთებლად და ღორღად) საბადო – 3,2 მილ. მ³;
„საკაპრიას“ და წიფლავაკის მარმარილოსებური კირქვის გამოვლინებები;
არგვეთის სააგურე თიხის საბადო, მარაგი – 160 ათასი მ³;
ბოსლევის სააგურე თიხის საბადო, მარაგი – 870 ათასი მ³;
აჯამეთის სპონგოლითის საბადო, მარაგი – 1680 მილ. მ³;
შროშის ცეცხლგამძლე თიხის დიდი მოცულობის გამოვლინება, მარაგი პროგნოზით – 1 მილ. ტ;
„ნიჩაბას“ გრანიტის გამოვლინება.

ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოების გადაიარაღება, ერთობლივი საწარმოების შექმნა;

საკოტეჯო მშენებლობის განვითარება;

ქვის მოპოვებისა და გადამამუშავებელი წარმოების ტექნოლოგიური ხაზებით აღჭურვა, ერთობლივი საწარმოების შექმნა;

კრამიტისა და კერამიკული ფილების საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება;

სხვადასხვა სამშენებლო მასალების (აგური, ბლოკი, ღორღი და სხვა) საწარმო სიმძლავრეების ამოქმედება;

რაიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი მინი საწარმოების შექმნა-ამოქმედება;

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესაფუთი თანამედროვე ხაზების შემოტანა, ერთობლივი საწარმოების შექმნა;

ხილის კონცენტრატებად გადამამუშავებელი სპეცხაზის შემოტანა, ერთობლივი საწარმოების შექმნა;

საწებლების (ტყემალი, პამიდორი, აჯიკა) დამამზადებელი მინი საწარმოების შექმნა;

ტომატ-პასტის დამამზადებელი მინი საწარმოების შექმნა;

ბოსტნეულის გადამამუშავებელი სპეცხაზების შემოტანა, მინი და ერთობლივი საწარმოების შექმნა;

ჟელეების (ვაშლი, მსხალი, ქლიავი, კომში და სხვა) დამამზადებელი მინი საწარმოების შექმნა;

ხორცის გადამამუშავებელი წარმოებების გადაიარაღება ერთობლივი საწარმოების შექმნა;

სათესლე კულტურების მოყვანა-განვითარება;

სასათბურე მეურნეობების შექმნა-ამოქმედება;

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის კომპლექსების შექმნა-ამოქმედება თავიანთი გადამამუშავებელი ხაზებით;

მეთევზეობის კომპლექსების შექმნა-ამოქმედება თავიანთი გადამამუშავებელი ხაზებით;

ჩაის გადამამუშავებელი ხაზების განახლება, შეკვეთებით უზრუნველყოფა;

მებოცვრეობის ფერმების შექმნა;

ღვინის გადამამუშავებელი საწარმოების გადაიარაღება, თანამედროვე ტარის დამამზადებელი ხაზების შემოტანა;

უალკოჰოლო სასმელების, მინერალური და ბუნებრივი წყლების საჩამომსხმელო ხაზების შემოტანა, მცირე საწარმოების შექმნა;

ცვილის (სანთლის) გამოყენებით ჭურჭლის (რომელშიც განთავსდება თაფლის სასმელები) დამზადება;

რძისა და რძის პროდუქტების დასამზადებელი ხაზების გადაიარაღება, ახალი სახეობების პროდუქციის ათვისება;

ადგილობრივი (ჩაი, მაცვალი, დაფნა და სხვა) ექსტრაქტების საწარმოო ხაზების შემოტანა, რომელიც გამოიყენება ფარმაცევტულ და პარფიუმერულ წარმოებაში, მინი საწარმოების შექმნა;

მინი საკონდიტრო საწარმოების შექმნა;

ქართული აბრეშუმის პარკის გამოყვანის აღდგენა- განვითარება;

სპორტული კოსტუმების, ფეხსაცმელებისა და სხვა სახეობის ერთობლივი საწარმოების შექმნა;

ტურიზმისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარება;

სპორტული კოპლექსების (სპორტის სასახლე, ჩოგბურთის კორტები, საცურაო აუზები, გამასაჯანსაღებელი ცენტრები და სხვა) აღდგენა-განვითარება;

სათამაშო ინდუსტრიის განვითარება;

გასართობი ინდუსტრიის განვითარება;

არსებული სასტუმროების რესტრუქტურირაცია, სამ-ხუთ ვარსკვლავიან სასტუმროებად გარდაქმნა;

არსებული სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, კოტეჯების აღდგენა - განვითარება;

ქალაქისა და რეგიონის შუქრეკლამებითა და სხვა სარეკლამო საქმიანობით უზრუნველყოფა;

ტურიზმის, სასტუმროებისა და სხვა მომსახურე პერსონალის მოსამზადებელი სკოლების შექმნა;

სუპერმარკეტებისა და თანამედროვე ობიექტების მოწყობა;

მუდმივი მქმედი საგამოფენო-სავაჭრო სალონების შექმნა;

კომპიუტერული დაკაბადონება, კომპიუტერული აწყობისა და ბექდვითი-პოლიგრაფიული წარმოების შექმნა.

წარმოდგენილი წინადადებების განხორციელებაში მონაწილეობა შესაძლებელია იმერეთის მხარეში არსებული სიმძლავრეების გამოყენებით, ამ სიმძლავრეების აქციონერებაში მონაწილეობით, ერთობლივი საწარმოების შექმნით, ინვესტიციების ჩადებით, კრედიტების გამოყოფით, ახალი საწარმოების დაფუძნებით.

ზოგიერთი პრიორიტეტული მიმართულება

ქუთაისი

1. ქუთაისის გადაქცევა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სერვისული მომსახურების ცენტრად. ამისათვის არსებობს სს „ტრაქტორი“, სს „სავტომობილო ქარხანა“, რომელთაც გააჩნია მდიდარი გამოცდილება. (შემუშავებულია სათანადო ბიზნეს-გეგმები).

2. ელექტროტექნიკური წარმოების განვითარება – ელექტროჩასაყვინთი ძრავებისა და ზოგიერთი სახის ელექტროსაქონლის წარმოება სს „ელექტრომექანიკოსის“ ბაზაზე (შემუშავებულია სათანადო ბიზნეს-გეგმა, ხორციელდება საწარმოს პრივატიზება, დამატებით დასაქმდება 200 კაცი).

3. მსუბუქი (საფეიქრო) მრეწველობის განვითარება – სს „იმერის“ ბაზაზე. (შემუშავებულია სათანადო ბიზნეს-გეგმა, რითაც წარმოებული პროდუქცია და შემოსავლები 35%-მდე გაიზრდება, დამატებით შეიქმნება 150 სამუშაო ადგილი).

4. ქიმიური მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარება (ლითოფონი, ლაქ-საღებავები, შაბიამანი) სს „ლითოფონის ქარხნის“ ბაზაზე. (შემუშავებულია სათანადო ბიზნეს-გეგმა, ხორციელდება საწარმოს პრივატიზება. დამატებით დასაქმდება 200 კაცი).

5. ქუთაისში არსებულ საწარმოთა ბაზაზე ქვის წარმოების გაფართოება იმ ვარაუდით, რომ ყველა სახის ქვა იქნას დამზადებული. დამატებით დასაქმდება 150 კაცი.

6. მომზადებულია წინადადება და უახლოეს მომავალში გადაწყდება ელექტროენერჯისა და წყლის მრიცხველების გამოშვების საკითხი. დამატებით დასაქმდება 60 კაცი.

7. სამეცნიერო პოტენციალის როლის გაძლიერება სამეწარმეო სფეროს განვითარებაში (ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია 10 პროექტი. მათი განხორციელებით გაუმჯობესდება ჩატარებული კვლევების ხარისხი, კადრების კვალიფიკაცია, გაიზრდება დასაქმებულთა რიცხოვნობა).

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

1. მევენახეობა მეღვინეობის განვითარება, რისთვისაც არსებობს როგორც სათანადო რესურსი, ისე საწარმო სიმძლავრეები (ღვინის ქარხნები, შამპანკომბინატი).

2. გადამმუშავებელი (საკონსერვო) მრეწველობის განვითარების პერსპექტივა, რისთვისაც არსებობს სასურსათო კომბინატი.

3. რაიონის ტერიტორიაზე არსებობს რეალური შესაძლებლობა ცემენტის წარმოების განვითარებისათვის. ამისათვის დაძიებულია მინერალური ქანები და დამუშავებულია შესაბამისი ტექნოლოგია (აღნიშნულისათვის შედგენილია სათანადო დოკუმენტაცია და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება).

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

1. ფეროშენადნობთა წარმოება. ფეროშენადნობთა ქარხნის პრივატიზება კიდევ უფრო გაზრდის ამ საწარმოს ფისკალურ და სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს;

2. რაიონის ტერიტორიაზე არსებობს სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სამშენებლო და სხვა მიზნებისათვის.

3. რაიონში შესაძლებელია წარმოებულ იქნეს ალუმინისა და სპილენძის სხვადასხვა სახის კაბელი, შიშველი გამტარი და ძარღვული სადენი. ამისათვის არსებობს სს „საქკაბელი“, რომელსაც აქვს მდიდარი გამოცდილება და ტრადიციები.

4. მევენახეობა მეღვინეობის განვითარება, რისთვისაც არსებობს როგორც სათანადო რესურსი, ისე საწარმო სიმძლავრეები (ღვინის ქარხნები, საქარის ღვინის მარანი).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

1. წყალტუბოს ინფრასტრუქტურისა და ნორმალური ფუნქციონირებას განსაზღვრავს კურორტის რეაბილიტაცია. წყალტუბო მდიდარია თერმულ-რადონული წყლებით, რომელიც კურნავს 60-მდე დაავადებას. შემუშავებულია კურორტის განვითარების პროგრამა. მომავალი წლისათვის დასრულდება 4 სასტუმროს მშენებლობა-რეაბილიტაცია, რომელიც ათასზე მეტ დამსვენებელს მიიღებს. გაფორმებულია ხელშეკრულებები მომავალი წლიდან დსთ-ის ქვეყნებიდან ტურისტთა ნაკადების მისაღებად.

2. სამორინეებისა და სათამაშო ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები საკურორტო ფუნქციების გაფართოებისა და დამსვენებელთა მოზიდვის პარალელურად. არსებობს შესაბამისი სამთავრობო მხარდაჭერა (შეღავათიანი რეჟიმები) წყალტუბოს სათამაშო ბიზნესის ცენტრად გადაქცევისათვის.

3. გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარების პერსპექტივები სანელებლებთან და მწვანე ლეგალურ წარმოება-გატანასთან მიმართებაში. რაიონში შესაძლებელია მოწეულ იქნეს 3 ათასი ტონა ცერეცო, 500 ტ. ქინძი, 1500 ტ. ოხრახუმი, 250 ტ. წიწაკა, ასევე ზაფრანი, კამა, და ქონდარი 20 ტონის ფარგლებში. საჭიროა აიგოს სანელებლების დამამზადებელი მინი-საწარმო წყალტუბოში ან ქუთაისში. ეკოლოგიურად სუფთა და იაფ პროდუქციაზე არსებობს მაღალი მოთხოვნა დსთ-ის ქვეყნებში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი

1. რაიონში არსებობს ინდუსტრიული აირების (ქანგბადი, აზოტი) წარმოების გაფართოების შესაძლებლობა. სათანადო ბიზნეს-წინადადებები შეადგინა ფუნქციონირებადმა საწარმო მპს „პინგვინმა“.

2. გადამმუშავებელი (საკონსერვო) მრეწველობის განვითარების პერსპექტივა. ფუნქციონირებს სასურსათო კომბინატი, რომელიც საგარეო ბაზრებზეა ორიენტირებული. არსებობს სერიოზული ბიზნეს-გეგმა.

3. რაიონის ტერიტორიაზე შესაძლებელია მინი ჰესის აგება (სოფ. ნაბაკევთან). შედგენილია სათანადო ბიზნეს-გეგმა, გეოლოგიური რუკა და პროექტი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

1. კურორტი „საირმე“ და მისი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. საწარმო მარკეტინგისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პირობებში არსებობს პერსპექტივა კურორტი პოპულარული გახდეს მსოფლიოს ტურისტულ ბაზარზე (შემუშავებულია კურორტის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა).

2. „საირმის“ წყლის ჩამოსხმა. არსებობს სამკურნალო წყლის რესურსი და საწარმო სიმძლავრეები, რომლის ამოქმედება მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფისკალური ეფექტის მომტანი იქნება.

3. ხე-ტყის რესურსების მდიდარი მარაგი ქმნის შესაძლებლობას ნედლეულის ბაზასთან ახლოს შეიქმნას თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით აღჭურვილი ხე-ტყის გადამმუშავებელი წარმოებები.

4. მევენახეობა-მელვინეობის განვითარება, რისთვისაც არსებობს სათანადო რესურსი და საწარმო სიმძლავრეები (ღვინის და კონიაკის ქარხნები).

ტყიბულის მუნიციპალიტეტი

1. ტრადიციულად ტყიბულის რაიონში პრიორიტეტულია ქვანახშირის მოპოვება-გადამუშავება. გადასინჯვას მოითხოვს ქვანახშირის ბაზაზე თეს-ის მშენებლობის საკითხი.

2. რაიონში შესაძლებელია ბუნებრივი და მეორადი გიშრის მოპოვება-გადამუშავება, რომელიც ამჟამად ძირითადად კუსტარულად და სტიქიურად ხდება (აღნიშნულისათვის არსებობს სათანადო ბიზნეს-გეგმა).

3. პრიორიტეტულია კაოლინის თიხის წარმოება, რაც ადგილობრივ რესურსებს ეფუძნება და ექსპორტისთვისაა განკუთვნილი (ქართულ-იტალიური ინვესტიცია).

4. ჩაის წარმოება-გადამუშავება. რაიონში არსებობს ჩაის რამდენიმე საწარმო, რომელთა ინვესტირება-გადაიარაღება პოზიტიურ ეფექტს მოგვცემს.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი

1. ჭიათურის ეკონომიკურ პოტენციალს მლლიანად განსაზღვრავს მანგანუმის მოპოვება და ჭიათურა-ზესტაფონის სამრეწველო ხიდის სრულყოფა პრივატიზებისა და ურთიერთსასარგებლო პირობების გათვალისწინებით.

2. მარმარილოს მოპოვება-გადამუშავება, რისთვისაც არსებობს შესაბამისი საბადოები. შემუშავებულია სათანადო ბიზნეს-გეგმა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

1. რაიონი მდიდარია ქვების საბადოებით (მაგ. ხორითის საბადოები), რომლის საფუძველზეც ამჟამად ხდება სამშენებლო ქვების წარმოება („ხორითი“, „ოპიზარი“ და სხვ. არსებობს შესაბამისი ბიზნეს-გეგმები და წინადადებები).
2. უნიკალური თვისებებით გამორჩეული „ზვარეს“ წყლის ჩამოსხმის განახლება, სადაც დამატებით 50 კაცი დასაქმდება.
3. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, რაც განპირობებულია ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკისა და კურორტ „ნუნისის“ რაიონის ტერიტორიაზე არსებობით.
4. ხე-ტყის რესურსის დიდი მარაგი შესაძლებლობას ქმნის რაიონში შეიქმნას ერთი ან რამდენიმე ხე-ტყის გადამმუშავებელი საწარმო (ამაჟამად დარგს მხოლოდ ინდ. მეწარმეები წარმართავენ).

ვანის მუნიციპალიტეტი

1. მევენახეობა-მელვინეობის განვითარება, რისთვისაც არსებობს როგორც სათანადო რესურსი, ისე საწარმო სიმძლავრეები – ღვინისა და საკონსერვო ქარხნები).
2. გადამმუშავებელი (საკონსერვო) მრეწველობის განვითარების პერსპექტივა შესაბამისი სამრეწველო სიმძლავრეები.
3. ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა და სამკურნალო-ბალნეოლოგიური კურორტის არსებობა (კურორტი „სულორი“).

4. ვანის მაღალმთიან სოფლებში არსებობს უნიკალური მცენარის გალანტუსის მოყვანის შესაძლებლობა (რესურსის წლიური მოცულობა 40 ტონა), რომელზეც ევროპაში მაღალი მოთხოვნა არსებობს. ამჟამად ეს ბაზარი სტიქიურად ვითარდება.

საჩხერის მუნიციპალიტეტი

1. რაიონი მდიდარია თიხის საბადოებით და საყალიბე ქვიშით. შესაძლებელია ტრადიციული კერამიკის წარმოება. შემუშავებულია სათანადო ბიზნეს-წინადადებები.
2. ხე-ტყის გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარება ნედლეულის არსებობიდან გამომდინარე.

ხონის მუნიციპალიტეტი

1. ხონისათვის ტრადიციულია ჩაის წარმოება-გადამუშავება. რაიონში არსებობს ჩაის რამდენიმე საწარმო („იმერეთი“, „ბაიხაო“, „კოლხეთი“) შემუშავებულია სათანადო ბიზნეს-გეგმები.
2. პლასტმასებისა და პოლიმერული ნაწარმის გამოშვების შესაძლებლობა. არსებობს ტრადიციული საწარმო შპს „კოდარა“, სადაც შესაძლებელია პლასტმასის მიღების, სხვადასხვა კონფიგურაციის პლასტმასის ნაწარმის გამოშვება (დამატებით დასაქმდება 150 კაცი).

წინადადებები იმერეთის მუნიციპალიტეტების მიხედვით

თერჯოლა

N	მხარდასაჭერი ბიზნესის (საქმიანობის) სახეობა	რა სახის რესურსი არსებობს (პრიორიტეტულობა)	რა საკითხებშია საჭირო დახმარება	შენიშვნა
1	ნიადაგის ბუნებრივი გამამდიდრებლისა და ცემენტის წარმოებისათვის ნედლეულის მოპოვება	რაიონის ტერიტორიაზე მოიპოვება მინერალური ქანები, რომელთა გამოყენება შეიძლება მინარალური სასუქების და ცემენტის წარმოებისათვის	აღნიშნული ნედლეულის მოპოვებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებისა და სათანადო ხელსაწყოების შეძენა	ტექნოლოგია დამუშავებულია ქართველ მეცნიერთა მიერ (ამ სახის საწარმო ამჟამად არ ფუნქციონირებს)
2	მანგანუმის საბადოს ათვისება	სოფ. ჩხარში ეკოლოგიის დეპარტამენტის მიერ დამიებულია მანგანუმის საბადო სერიოზული მარაგით	მანგანუმის მომპოვებელი საწარმოსათვის საჭირო დანადგარების შეძენა	მოპოვება შესაძლებელია ღია წესითაც
3	მარმარილოსა და გიშრის წარმოება	რაიონში საკმაო რაოდენობითაა გიშრისა და სხვადასხვა ფერის მარმარილოს საბადოები	სამთო-მომპოვებელი მანქანა-დანადგარების შეძენა	ამ სახის საწარმო ამჟამად რაიონში არ ფუნქციონირებს
4	სამკურნალო ბალნეოლოგიური კურორტის („სიმონეთი“) აღორძინება	კურორტი უზრუნველყოფილია სამკურნალო მინერალური წყლებით (ძვალ-კუნთოვანი ქსოვილის და სახსრების სამკურნალოდ)	ობიექტი საჭიროებს ინვესტირებას და მარკეტინგული სამუშაოების ჩატარებას	შესაძლებელია მინერალური წყლის ჩამოსხმა

ზესტაფონი

N	მხარდასაჭერი ბიზნესის (საქმიანობის) სახეობა	რა სახის რესურსები არსებობს (პრიორიტეტულობა)	რა საკითხებშია საჭირო დახმარება	შენიშვნა
1	სილიკომანგანუმის	სილიკომანგანუმის ქერქული	მანქანა-დანადგარების და	ამ სახის სერიოზული საწარმო

	ქერქული ნარჩენების გამოყენება (განსაკუთრებით გზების მშენებლობაში)	ნარჩენები ზესტაფოსნის ტერიტორიაზე	შესაბამისი ტექნოლოგიების საჭიროება	ამჟამად რაიონში არ ფუნქციონირებს
2	ალუმინისა და სპილენძის სხვადასხვა სახის კაბელების, შიშველი გამტარების, ძარღვული სადენების წარმოება	სს „საქკაბელის“ ქ. ზესტაფონში, რომელსაც აქვს მდიდარი გამოცდილება ამ სფეროში. აღჭურვილია სპეც. მანქანა-დანადგარებით	სწორი მენეჯმენტი, მარკეტინგული გამოკვლევები	არსებული სიმძლავრეების სრულად გამოყენების პირობებში დასაქმდება 100-150 კაცი
3	მსუბუქი (საფეიქრო) მრეწველობის ხელშეწყობა	სს „გრაცია“ ქ. ზესტაფონში სპეციალიზებულია ქალისა და მამაკაცის ზედა სამოსის წარმოებაზე. საწარმო ტრადიციულია, არის შედარებით იაფი მუშა-ხელით	საჭიროებს ტექნიკურ გადაიარაღებას	სრული დატვირთვის პირობებში დასაქმდება 300-მდე კაცი
4	ბუნებრივი და თხევადი აირის მოწოდება	შპს „ზესტაფონგაზი“ ქ. ზესტაფონში, ტრადიციული საწარმო	საკომუნიკაციო ხაზების აღდგენა; მრიცხველების შეცვლა, ინფრასტრუქტურის მომსახურებისათვის 2 სადგურის მონტაჟი	

წყალტუბო

N	მხარდასაჭერი ბიზნესის (საქმიანობის) სახეობა	რა სახის რესურსები არსებობს (პრიორიტეტულობა)	რა საკითხებშია საჭირო დახმარება	შენიშვნა
1	კალციტის, ცარცის პუდრის, ფილერის წარმოება (გამოყენება საღებავების, რეზონების და ასფალტის წარმოებისათვის)	შპს „გეგუთი-96“ წყალტუბოს რაიონში, შექმნილია 1989 წ. ნედლეული ძირითადად რაიონში მოიპოვება	პროდუქციაზე არსებობს მოთხოვნა. საჭიროა ახალი საფქვაავი ხაზის შექმნა-დამონტაჟება	ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია

2	სანელებლების (მწვანეების) დამზადება	ნედლეულის ბაზა ადგილზეა (რაიონში შესაძლებელია მოწულ იქნას 2 ატ. ტონა ცერეცო, 500ტ. ქინძი, 1500 ტ. ოხრახუმი, 250 ტ. წიწაკა, ასევე ზაფრანი, კამა, და ქონდარი 20 ტონის ფარგლებში	საჭიროა აიგოს სანელებლების დამამზადებელი მინი-საწარმო წყალტუბოში ან ქუთაისში	ეკოლოგიურად სუფთა და იაფ პროდუქციაზე არსებობს მაღალი მოთხოვნა დსთ-ის ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთში.
3	კურორტ წყალტუბოს რეაბილიტაცია	წყალტუბო მდიდარია თერმულ-რადონული წყლებით, რომელიც კურნავს 60-მდე დაავადებას. (აქ ისვენებდა ყოველწლიურად 100 ათასი დამსვენებელი და 150 ათასი ტურისტი)	სააბაზანოების და მინერალური წყლის დანაკარგის სალიკვიდაციოდ საექსპლოატაციო ჭაბურღილების დამცავი ნაგებობების რემონტისათვის სპე.მანქანა დანადგარები, სათვალთვალო ჭების ლითონის ხუფები	
4	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	უნიკალური სათაფლიის ნაკრძალი დინოზავრის ნაკვალევით	ნაკრძალამდე მისასვლელი გზა მთლიანად ამორტიზირებულია	შედგენილია შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა

სამტრედია

N	მხარდასაჭერი ბიზნესის (საქმიანობის) სახეობა	რა სახის რესურსები არსებობს (პრიორიტეტულობა)	რა საკითხებშია საჭირო დახმარება	შენიშვნა
1	ინდუსტრიული აირების (ჟანგბადი, აზოტი) წარმოების გაფართოების ხელშეწყობა	შპს „კინგინი“ ქ. სამტრედიაში, რომელიც აწარმოებს ინდუსტრიულ აირებს	ტექნოლოგიების დანერგვა კვების მრეწველობაში, ნახ-მარი წყლების გასაწმენდად, ჟანგბადის გამოსაყენებლად.	
2	სამტრედიის რაიონში (ნაბაკევის საკრ. ტერიტო-	მდ. ცხენისწყლიდან გამომავალი ბუნ. დინების	სხვადასხვა ადგილას ოთხი კასკადის ასაგებად (წყალ-	არსებობს შესაბამისი გეოლოგიური რუკა და პროექტი

	რია) მინი ჰიდროელექტრო-სადგურის აგება	შტოები საკმარისია მინი ჰესის მშენებლობისათვის	შემვსები არხის გაყვანა და სათაო ნაგებობების მოწყობა) საჭიროა მოწყობილობები და დანადგარები	
--	---------------------------------------	---	---	--

ბაღდათი

N	მხარდასაჭერი ბიზნესის (საქმიანობის) სახეობა	რა სახის რესურსები არსებობს (პრიორიტეტულობა)	რა საკითხებშია საჭირო დახმარება	შენიშვნა
1	მინერალური წყლის ჩამოსხმა – გასაღების სტიმულირება	რაიონის ტერიტორიაზე უდიდესი მარაგები არსებობს სამკურნალო წყლებისა, რაც ტრადიციულ წარმოებად ითვლება. (ტრადიციული საწარმო შპს „საირმის წყლები“)	საჭიროებს დახმარებას მენეჯმენტსა და მარკეტინგულ კვლევებში (განსაკუთრებით გასაღების სტიმულირების კუთხით)	
2	სოკოს წარმოება	არსებობს ტრადიციული საწარმო მდიდარი გამოცდილებით (შპს „აქოლი“)	სამაცივრო და სავენტილაციო სისტემები სოკოს წარმოებისათვის	

ვანი

N	მხარდასაჭერი ბიზნესის (საქმიანობის) სახეობა	რა სახის რესურსები არსებობს (პრიორიტეტულობა)	რა საკითხებშია საჭირო დახმარება	შენიშვნა
1	გალანტუსის მოყვანა-რეალიზაციის ხელშეწყობა	მაღალმთიან სოფლებში არსებობს პირობები ამ მცენარის მოყვანისათვის, რაც ამჟამად სტიქიურად ხდება და გადის მსოფლიოს ბაზარზე	სასაწყობო მეურნეობის და ლაბორატორიისათვის აღჭურვილობის საჭიროება	რესურსის წლიური მოცულობა ამჟამად 40 ტ-ს შეადგენს

ტყიბული

N	მხარდასაჭერი ბიზნესის (საქმიანობის) სახეობა	რა სახის რესურსები არსებობს (პრიორიტეტულობა)	რა საკითხებშია საჭირო დახმარება	შენიშვნა
1	ბუნებრივი და მეორადი გიშრის მოპოვება-გადამუშავება	რაიონში არსებობს გიშრის ბუნებრივი რესურსები	საბურღი და სახერხი ძრავები; მაღალი წნევის და ტემპერატურის პრესები; შარიკებიანი წისქვილი	ამჟამად წარმოება-რეალიზაცია მიმდინარეობს კუსტარულად

საჩხერე

N	მხარდასაჭერი ბიზნესის (საქმიანობის) სახეობა	რა სახის რესურსები არსებობს (პრიორიტეტულობა)	რა საკითხებშია საჭირო დახმარება	შენიშვნა
1	ხილის შრობა	კენკროვანი ხილის ადგილობრივი რესურსები	ხილის საშრობი დანადგარი	
2	კერამიკული ნაწარმის დამზადება	რაიონი მდიდარია თიხის საბადოებით	თიხის საფქვავე წისქვილი; მოდელები და საწარმო ყალიბები; ახალი ტიპის ღუმელი	შესაძლებელია ტრადიციული კერამიკის წარმოებაც

ხონი

N	მხარდასაჭერი ბიზნესის (საქმიანობის) სახეობა	რა სახის რესურსები არსებობს (პრიორიტეტულობა)	რა საკითხებშია საჭირო დახმარება	შენიშვნა
1	სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგება	ტრადიციული საწარმოები შპს „სათავე“ და შპს „წყალი XXI“	თანამედროვე უცხოური ტიპის დასაქლორი მოწყობილობა-ქლორატორი	სათავე ნაგებობა საჭიროებს კაპშეკეთებას
2	ჩაის წარმოება-რეალიზაცია	ტრადიციული საწარმოები „იმერეთი“, „ბაიხაო“,	მენეჯმენტი, მარკეტინგული კვლევები, ბაზრის	

		„კოლხეთი“ და სხვა.	ძიება	
--	--	--------------------	-------	--

ჭიათურა

N	მხარდასაჭერი ბიზნესის (საქმიანობის) სახეობა	რა სახის რესურსები არსებობს (პრიორიტეტულობა)	რა საკითხებშია საჭირო დახმარება	შენიშვნა
1	მარმარილოს წარმოება	დაძიებულია მარმარილოს საბადოები; არსებობს მარმარილოს საწარმო	სწორი მენეჯმენტი, მარკეტინგული გამოკვლევები რეალიზაციის სტიმულირებისათვის	შესაძლებელია მარმარილოს წარმოება

ხარაგაული

N	მხარდასაჭერი ბიზნესის (საქმიანობის) სახეობა	რა სახის რესურსები არსებობს (პრიორიტეტულობა)	რა საკითხებშია საჭირო დახმარება	შენიშვნა
1.	სამშენებლო ქვები და მასალები	ამისათვის რაიონში უხვადაა საბადოები; არსებობს ტრადიციული საწარმოები (“ზორითი”, “ოპიზარი”)	სწორი მენეჯმენტი, მარკეტინგული გამოკვლევები რეალიზაციის სტიმულირებისათვის	
2.	მინერალური წყლის ჩამოსხმა	რაიონში არის უნიკალური სამკურნალო წყალი “ზვარე”	რეალურ ეტაპზე არ ხდება წყლის ჩამოსხმა	

კურორტები

N	კურორტის დასახელება	ადმინისტრაციული რაიონი	კურორტის ტიპი	ზღვის დონიდან სიმაღლე და საკურორტო ზონა	მინიმალური წყლის ტიპი	პროფილი
1	2	3	4	5	6	7
1	ამაღლება	ვანი	ბალნეოლოგიური	140მ I-2-ა	ნახშირმჟავა	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
2	სულორი	ვანი	ბალნეოლოგიური	200მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
3	ჩოქიანი	ვანი	ბალნეოლოგიური	80მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
4	გორმაღალა	სამტრედია	ბალნეოლოგიური	200მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური
5	სამტრედია	სამტრედია	ბალნეოლოგიური	25მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
6	ზეკარი	ბაღდათი	ბალნეოლოგიური	780მ II-1-გ	სულფიდური	ართროლოგიური
7	საირმე	ბაღდათი	ბალნეოლოგიური	95-მ II-1-გ	ნახშირმჟავა	უროლოგიური, გასტროენტეროლოგიური
8	ზვარე	ხარაგაული	ბალნეოლოგიური	600მ II-1-გ	ნახშირმჟავა	გასტროენტეროლოგიური
9	ნუნისი	ხარაგაული	ბალნეოლოგიური	II-1-გ	სუსტად სულფიდური	დერმატოლოგიური
10	საღანძილე	ხარაგაული	კ/ზ	1020მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
11	ხიდარი	ხარაგაული	კ/ზ	500მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
12	კვერეთი	საჩხერე	ბალნეოლოგიური	750მ II-1-გ	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური

13	სიმონეთი	თერჯოლა	ბალნეოლოგიური	I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
14	წყალტუბო	წყალტუბო	ბალნეოლოგიური	95-120მ I-2-ა	რადონული, ქლორიდულ- სულფატური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
15	გორდი	ხონი	კლიმატური	600მ II-1-ბ		პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.)
16	კვალითი	ზესტაფონი	ბალნეოლოგიური	320მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
17	ნიჩაბა	ზესტაფონი	ბალნეოლოგიური	300მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
18	სვირი	ზესტაფონი	ბალნეოლოგიური	300მ I-2-ა	სულფიდური	
19	პერევისა	ჭიათურა	კლიმატური	980მ II-1-გ		პროფილაქტიკური, კარდეოლოგიური
20	ცირკვალი	ჭიათურა	კლიმატური	650მ II-1-გ		პროფილაქტიკური,
21	ხრეთის აბანო	ჭიათურა	კ/ბ	1150მ III-ა	სულფიდური	პროფილაქტიკური, ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
22	ზოდის აბანო	ჭიათურა	კ/ბ	650მ II-1-გ	სულფიდური	პროფილაქტიკური, ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
23	საწირე	ტყიბული	კლიმატური	420მ I-2-ა		პროფილაქტიკური,
24	ხრესილი	ტყიბული	ბალნეოლოგიური	480მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური
25	კურსები	ტყიბული	ბალნეოლოგიური	350მ I-2-ა	სულფიდური	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პ.ნ.ს.), გინეკოლოგიური

ტურიზმი

ქუთაისი

დასავლეთ საქართველოს ყოფილი ტურისტული ცენტრი საბჭოთა პერიოდში, საიდანაც ხდებოდა ტურისტთა ნაკადის რეგულირება დასავლეთ საქართველოს კურორტებსა და დასასვენებელ ბაზებზე. 150000 ტურისტი საშუალოდ წელიწადში, 9 მსხვილი განთავსების ობიექტით 2500 საწოლზე. დღეს ქუთაისი წარმოდგენილია 26 სასტუმრო სახლითა და 3 ახალი სასტუმროთი, რომელთა საერთო მოცულობა 250 პერსონაზეა გათვლილი.

ქუთაისი თავისი შესაძლებლობებით საჭიროებს პირველ ეტაპზე ე.ი. 2002-2005 წლებისათვის ერთ 3-4 ვარსკვლავიან სასტუმროს 150-200 ადგილით. აუცილებელია აღდგეს ყოფილი ტურბაზა „რიონის“ ტერიტორიაზე ტურისტული, კემპინგის საქმიანობა ახალ ხარისხში დაახლოებით 70-80 ადგილზე და მოხდეს ოლასკურას ხეობის განაშენიანება ტურისტული კომპლექსისათვის. ტურიზმის ძირითადი სახეებიდან ქუთაისი უნდა გახდეს რურ და ურბანული ტურიზმის ცენტრი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ მან უნდა დაიბრუნოს და განავითაროს კულტურული ტურიზმის ძველი ტრადიციები, როცა ქუთაისში სისტემატურად ეწყობოდა კლასიკური მუსიკის, ქართული ხალხური სიმღერების ფესტივალები, ქართული ფილმის დღეები და სხვა. ამასთან ქუთაისში გამართული ღონისძიებები ფართო ასახვას ჰპოვებდა ახლო მდებარე რაიონებში. ყოველწლიურად იმართებოდა ვ. მაიაკოვსკის დღეები, რომელიც თავს უყრიდა საბჭოთა სივრცის ცნობილ პოეტებსა და პოეზიის მოყვარულებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმერეთის მხარეს აქვს შესანიშნავი

შესაძლებლობა ყოველწლიურად ჩაატაროს ზ. ფალიაშვილის მ. ბალანჩივადის, ჯორჯ ბალანჩინის (გიორგი ბალანჩივადის) რევაზ ლალიძის, ჯ. კახიძის გ. ტაბიძის მუსიკისა და პოეზიის ფესტივალები, დავინახავთ, რომ ამ თვალსაზრისით ქუთაისს ამოუწურავი შესაძლებლობები გააჩნია.

ქუთაისმა ბოლო წლებში კარგი გამოცდილება შეიძინა საერთაშორისო ბიზნეს კონფერენციების ჩატარების თვალსაზრისით. იგი, როგორც იმერეთის აგრარული სექტორი და საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი, შესაძლებელია გახდეს საქართველოში საერთაშორისო ბიზნეს კონფერენციების, სიმპოზიუმების გამართვის ერთ-ერთი მსხვილი ბაზა.

წყალტუბო

წყალტუბოს რაიონი – საქართველოს საკურორტო ფლაგმანი. იგი ცნობილია მინერალური წყლებითა და საკურორტო ინფრასტრუქტურით, რომელმაც გართულებული პოლიტიკური ვითარების დროს დიდი ზიანი განიცადა. ამასთან, აქ მოქმედებს 2 სანატორიუმი და ბალნეოსერვისის მინერალური წყლების აბაზანები, რომლებიც ემსახურებიან დამსვენებლებს. წყალტუბოს რაიონი გამოირჩევა მთაგორიანი ლანდშაფტით. ტყისა და მთის მასივებით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით, ნაკრძალებითა და გამოქვაბულებით. რაიონს ეკუთვნის სათაფლიის ნაკრძალის ტერიტორია და აქ აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალევი. იგი ასევე ცნობილია სათაფლიის, ყუმისთავისა და თეთრას გამოქვაბულებით. წყალტუბო აგრარული რაიონია. აქ განვითარებულია ჩაის კულტურა. შესაძლებელია განვითარდეს სამთო საცხენოსნო, სამთო ქვეითი და ეკოტურიზმი. კარსტული

გამოქვაბულების დიდი არჩევანი კარგ შესაძლებლობას იძლევა სპელეო ტურიზმის განვითარებისათვის, ასევე კარგი შესაძლებლობები აქვს აგროტურიზმს.

ხარაგაული

ხარაგაულის რაიონი. აქ წარმოდგენილია უმდიდრესი რესურსი ტურიზმის განვითარებისათვის. უმთავრესი ობიექტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკია, რომელსაც რეგიონში 24000 ჰა ფართობი უჭირავს. მთაგორიანი რელიეფი, უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან – 2180 მ, უნიკალური მთის მდინარეებითა და ტბებით, ფლორითა და ფაუნით, სადაც ვხვდებით ენდემური ჯიშის მცენარეებს, რომლებიც მხოლოდ ამ ტერიტორიებისათვისაა დამახასიათებელი. პარკი მდებარეობს თორის, არგვეთის, სამცხის ისტორიულ ფარგლებში და საქართველოს 5 რეგიონს ესაზღვრება. აქედან 2 – იმერეთის: ხარაგაულისა და ბაღდათის რაიონებია. პარკის შესაძლებლობები, რომელსაც გერმანიის WWF აფინანსებს, სცილდება მხოლოდ დაცული ტერიტორიის ტურიტულ ფუნქციას და ტუროპერატორებს გაცილებით მეტი იმპროვიზირების საშუალებას აძლევს ტურისტული პროდუქტის დამუშავების დროს. პარკის ტერიტორიით იწყება საქართველოში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა. აქ ქადაგებდა ქრისტიანულ რელიგიას ანდრია პირველწოდებული, რასაც ყველაზე მაღალ მთაზე აღმართული რკინის ჯვარი მოწმობს. ტერიტორიაზე 200-ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომელთა თემატიკა ამოუწურავი მასალაა ისტორიის მოყვარულთათვის. ხარაგაულის რაიონიდან იწყება პარკის ორი შესასვლელი - ნუნისი და მარელისი. ეს მარშრუტები 5 კმ-დან 35

კმ-მდე სიგრძისა და განსხვავებული სირთულისაა. ვიზიტორთა პროგრამა ითვალისწინებს როგორც უბრალოდ ფეხით მოსიარულეთა ინტერესებს, ისე ეკოლოგიური განათლების საფუძვლებსაც. მარშრუტებსა და გადასასვლელებზე 3 ტურისტული თავშესაფარია. ხარაგაულის რაიონში, გარდა ეროვნული პარკისა არის, მდიდარი შესაძლებლობები აგროტურიზმის განვითარებისათვის, ასევე საცხენოსნო ტურიზმი, ისტორიული და კულტურული. აქ განვითარების კარგი შესაძლებლობები აქვს ღვინისა და სამზარეულოს, ხალხური დღესასწაულების ტურებს. ხარაგაულის რაიონი იმერეთის ერთ-ერთ უმდიდრესი საკურორტო ზონაა. კურორტ „ნუნისის“ მინერალური წყალი კურნავს კანის დაავადებებს, შესანიშნავი ჰავაა ბრონქიალური ასთმის სამკურნალოდ და სხვა. აქვეა მინერალური წყალი „ზვარე“.

ბაღდათი

ბაღდათის რაიონი იმერეთის რეგიონის ერთ-ერთი მდიდარი აგრარული სექტორია. იგი ცნობილია კურორტ „საირმის“ მინერალური წყლებითა და რუსი პოეტის ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმით. აქ ყოველწლიურად 80 000 ზე მეტი კაცი მოგზაურობდა და ისვენებდა კურორტ საირმის დასასვენებელ კორპუსებში. ბაღდათის რაიონში შეიძლება განვითარდეს აგროტურიზმი, ისტორიული, და კულტურული, ფოლკლორული, საცხენოსნო, ღვინისა და სამზარეულოს ტურიზმი. გარდა აღმოჩენილი და სათავგადასავლო ტურიზმისა, განსაკუთრებით დიდი პერსპექტივა აქვს რაიონს სამკურნალო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. იგი შესაძლებელია გაფართოვდეს ზეკარის, მამანეთის, წითელი მინდორის

მიმართულებებით. ბაღდათის რაიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის შერჩეულია ტერიტორიები მამანეთზე, წითელ მინდორზე, სოფ. ქლიბულში, სოფ. უდაბნოში, სოფ. ნერგეთში, სოფ. ნიქაბეთში, სოფ. ლიანთხაში. აქ გათვალისწინებულია როგორც ბალნეოლოგიური კურორტების, ისე ტურისტული კემპინგების, ზამთრის სპორტული თამაშობების ბაზის მშენებლობა.

ვანი

ანტიკური კოლხეთის ნაქალაქარი არქეოლოგიური მუზეუმითა და არქეოლოგიური გათხრებით, რომელმაც დაადასტურა არგონავტების ცნობილი ისტორიის რეალობა ძველ კოლხეთში. დიდი ქართველი პოეტის გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმი. მდიდარი რეგიონი ისტორიული და ბუნებრივი ძეგლებით. საკურორტო დარგი წარმოდგენილია კურორტებით „სულორი“ და „ამაღლება“, მინერალური წყლებით, ულამაზესი მთის ლანდშაფტით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით. ვანში შესაძლებელია აგროტურიზმის, საცხენოსნო, ისტორიული და კულტურული, ღვინისა და სამზარეულოს ტურების ორგანიზება. კარგი შესაძლებლობები აქვს ეკოტურიზმს, საწყალოსნო ტურიზმს მდინარე რიონზე, სათევზაო და სანადირო ტურიზმს. ვანის რაიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის შერჩეულია ტერიტორიები სოფ. გადიდის მთაზე, სოფ. ონჯოხეთში და ვანში „მშვიდობის გორაზე“.

ტყიბული

იმერეთის ჩრდილოეთით მდებარე მთაგორიანი ლანდშაფტის, განვითარებული აგრარული სექტორის მქონე რაიონი, რომლის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებს მეჩაიეობა, მეხილეობა მეცხოველეობა წარმოადგენს. ტყიბულის რაიონი ცნობილი იყო საბჭოთა სივრცეში როგორც მეშახტეთა ქალაქი. ამასთან, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ტრადიციული გასაღების ბაზრის დაკარგვამ ტყიბულის რაიონი, რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის შემოსავალი დაკავშირებული იყო ქვანახშირის მოპოვებასთან, უფუნქციოდ დატოვა. რაიონის ტურისტული და საკურორტო პოტენციალი წარმოდგენილია კურორტების სოჩხეთის, საწირის, ცხრაჯვარის, ხრესილის დასასვენებელი კომპლექსებით. ორი წყალსაცავით, რომლებიც იშვიათი სილამაზით გამოირჩევიან და კარგ შესაძლებლობას აძლევენ რაიონს საწყალოსნო და სათევზაო ტურიზმის განვითარებისათვის. ტყიბულის რაიონი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, გელათის სამონასტრო კომპლექსი (XII ს.), მოწამეთის მონასტერი (VIII-XI ს.) და სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა სპელეოლოგიის კუთხით. მის ტერიტორიაზეა ცუცხვათის 13-სართულიანი 1 მღვიმე ცხრაჯვარის გამოქვაბულები. ასევე ჭახათის საკაჟიას მუხურას მღვიმეები. ტყიბულის რაიონში, ისე როგორც იმერეთის სხვა რაიონებში, შესაძლებელია განვითარდეს ეკო და აგროტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმის მთელი რიგი სახეები. რაიონის ხელმძღვანელებმა ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის შეარჩიეს ტერიტორია ცხრაჯვარის მთაზე (1570 მ ზღვის დონიდან).

ჭიათურა

ძველი საქარავნო გზა, რომლის ლანდშაფტი მოფენილია ანტიკური და გვიანი რენესანსის ისტორიული ძეგლებით. იმერეთის ჩრდილო აღმოსავლეთის მთაგორიანი რაიონი მდინარეებითა და მთის ტბებით, ყვირილა, „შემოსარები“, ღურღუმელას, მანდაეთის, ტყემლოვანის, ბერეთის, ხრამის ტბები, რომლებიც კარგ შესაძლებლობებს ქმნიან საწყალოსნო სათევზაო და დასასვენებელი დღეების ტურიზმის განვითარებისათვის. რაიონი მდიდარია ფლორითა და ფაუნით, კარსტული გამოქვაბულებით. შვილობისის, ნაკაჭკარი, ხრეთის ვერტიკალური, ხრეთის მრავალსართულიანი, გუნდაეთის, დარკვეთის, ნიგოზეთისა და ტყემლოვანას შუა მდებარე დიდი გამოქვაბული, რომელთა სიგრძე საშუალოდ 400-500 მ.-ია. რაიონის ლამაზი ბუნება, ზემო იმერეთისათვის დამახასიათებელი სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციული ინსტიტუტი კარგ პირობას ქმნის აგროტურიზმის განვითარებისათვის. ჭიათურის რაიონში შერჩეულია 45 სახლი აგროტურიზმის ცენტრების დასაარსებლად და 5 ტერიტორია ტურისტული ცენტრისა და გამაჯანსაღებელი ბაზების მშენებლობისათვის. სოფ. ხრეთის, სოფ. კაცხის, სოფ. პერევისას, სოფ. სვერისა და თვით ჭიათურის ტერიტორიებზე.

საჩხერე

საჩხერის რაიონი – ქართველი მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის ა. წერეთლის სამშობლო, ზემო იმერეთი, მთაგორიანი ლანდშაფტით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით. საკურორტო ზონა წარმოდგენილია კვერეთის დასასვენებელი სახლით. ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია ადრეული შუა საუკუნეების ციხე მოდი ნახე,

სავანის ეკლესია, ითხვისის ეკლესია. და სხვა. საჩხერის რაიონში მიმდინარეობს სამონადირეო მეურნეობის ორგანიზების სამუშაოები, რომელიც კარგ წინაპირობას შექმნის არსებული ტურისტული პროდუქტის გამრავალფეროვნებისათვის. რაიონში, ისე როგორც მთელ იმერეთში, კარგი პირობაა აგროტურიზმის, ასევე სამთო საცხენოსნო, სპელეოლოგიის, ღვინისა და სამზარეულოს ტურების განვითარებისათვის.

ზესტაფონი

ზესტაფონი იმერეთის აგრარული რაიონია. ლამაზი ბუნებითა და იმერეთისათვის დამახასიათებელი სოფლებით, განვითარებულია მევენახეობა, მეცხოველეობა. ზესტაფონის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ბევრად განაპირობებდა მის როლს საქრთველოს ისტორიის თითქმის ყველა ეპოქაში. ისტორიული არგვეთის შუაგული, იშვიათი სილამაზისა და არქიტექტურის ძეგლები, უძველესი ღვინის საცავები, ყურძნის ჯიშები, ყოველივე კარგ პირობას ქმნის აგროტურიზმის განვითარებისათვის. კარგადაა განვითარებული ხალხური რეწვა. ამასთან, ზესტაფონის რაიონს აქვს შესაძლებლობა განავითაროს ისტორიული, კულტურული ტურიზმი, საცხენოსნო, ეკოტურიზმი. განსაკუთრებით ღვინისა და სამზარეულოს ტურიზმი. საქარის ა. სტაროსელსკის სახელობის საცდელი მევენახეობის მეურნეობასთან არსებული საუკუნის ღვინის საცავი იძლევა ტურიზმის ამ მიმართულების განვითარების შანსს. ზესტაფონში ტურიტული კომპლექსის შესაქმნელად შერჩეულია ტერიტორია ვაქნარის მთაზე.

თერჯოლა

თერჯოლის რაიონი წარმოდგენილია კურორტ „სიმონეთით," ნავენახევის მღვიმითა და ბავშვთა დასასვენებელ სახლ „საპოვნელათი", ამასთან თერჯოლას, როგორც იმერეთის აგრარულ რაიონს, აქვს კარგი შესაძლებლობა განავითაროს აგროტურიზმი, ღვინისა და სამზარეულოს, ისტორიული და კულტურული ტურიზმი. თერჯოლის რაიონის სოფ. სიმონეთის მკვიდრი იყო დიდი ქართველი მწერალი, მეორე სერვანტესად წოდებული დ. კლდიაშვილი. თერჯოლის რაიონში ტურიტული კომპლექსების მშენებლობისათვის შერჩეულია სოფ. ძეგრის, ნახშირღელის ტერიტორიები. ამასთან, რაიონი მდიდარია ისტორიული ძეგლებით. ჩხარის მთავარანგელოზის, ოქონის დედაღვთისას, გოდოგნის ეკლესიები, ციხე-სიმაგრეები, რომელთა ისტორია მე-7 და მე-10 საუკუნეებით თარიღდება. რაიონში ცხოვრობენ საქართველოს მონარქების-ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლები, რაც ამ რეგიონს საშუალებას აძლევს განავითაროს ტურიზმის სპეციფიკური მიმართულება.

სამტრედია

ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი სამტრედია 30 კილომეტრითაა დაშორებული ქუთაისიდან. საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი სარკინიგზო კვანძი წარმოდგენილია კურორტ „სამტრედიით“ 35 გრადუსის მქონე მინერალური წყლით, რომელიც გამოიყენება საყრდენ-მამოძრავებელი სისტემების, ძვლების, კუნთების, სხვადასხვა წარმოშობის ნერვიული, პერიფერიული, ქრონიკული სისტემების სამკურნალოდ. სამტრედია სუბტროპიკული ჰავის რეგიონია. აქ შერწყმული ზღვისა და მთის ჰავა, ამიტომაც კარგად ხარობს ციტრუსები.

რაიონში მდებარეობს ოფეთის მე-11 საუკუნის მთავარანგელოზის, საჯავახოს შუა საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესიები, თამარ მეფის ციხე-სიმაგრე სოფელ ტოლებში. სამტრედიისში შესაძლებელია ტურიზმის ისეთი სახეების განვითარება, როგორცაა: აგროტურიზმი, საწყალოსნო, სამთო ქვეითი და საცხენოსნო, ეკოტურიზმი, ღვინისა და სამზარეულოს ტურები და სხვა. ტურტიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სამტრედიის რაიონში შერჩეულია ტერიტორიები სოფელ ტოლებში, ნოლაში, ოფეთში, წიაღობანში, თხილგანსა და იანეთში.

ხონი

უნიკალური ლანდშაფტის მქონე რაიონი, ასხის მთის, კინჩხას გადასასვლელებით, შერეული და ფოთლოვანი ტყის მასივები, რომლებიც კარგ შესაძლებლობას იძლევიან ეკოტურიზმის განვითარებისათვის. აქ შესაძლებელია მეკლდეურობა, საცხენოსნო და დასავენებელი დღეების ტურების ორგანიზება. დადიანების გორდის სასახლე, წმინდა გიორგის XVI ს. ეკლესია, მათხოჯის დედათა მონასტერი. რაიონს აქვს კარგი პერსპექტივა სამონადირეო ტურიზმის განვითარებისათვის. გამაჯანსაღებელი ტურისტული ცენტრების შესაქმნელად შერჩეულია ტერიტორიები თვით ხონში, სოფ. კინჩხაში, სოფ. გორდსა და სოფ. მათხოჯში.